ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## სუს-მა კახა ბასილია დააკავა

გვ.7



მას 10.441 ლარის მითვისება ბრალდება

## 9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

### მაუგლის ამბები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



სამშაბათი, 9 აპრილი, 2019 №83 (8037) ფასი: 60 თეთრი

# გახარიას გაპრემიერება ამერიკაში გადაწყდება

გვ.3



## მეგი გოცირიძე: „9 აპრილის ჯალათ გენერალ ლებედს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა“



გვ.2





„2007 წლის 7 ნოემბრის დასარბევი საშუალებები „ოცნების“ ლიდერმა შეიძინა“

## „ქვეყანასა და ერს თუ თავმოყვარეობა აქვს, გამსახურდიას მკვლელობა უნდა გამოიძიონ“



გვ.3

## ნიკა ჩიტაძე: „ბესელია-კვაჭანტირაძისთვის სამივლინებო დაფინანსების შეჩერება პოლიტიკური ანგარიშსწორებაა“



გვ.4

„როგორც არჩევნების ჩატარებაზე მივიღეთ შენიშვნა დასავლეთისგან, ისე იქნება ახლაც“

## რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილმა 2020-თვის დაიწყო მზადება“



გვ.3

## პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნებაში“ ერთ დღეს ყველა ზვიადისტი და მეგრელი გახდა“



გვ.5

## ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი საბრძოლო მომზადებას არ ხმარდება“



გვ.6

სამართალი გვ.7

### ადვოკატი ჩხეიძე: „ანა ბაგრატიონი ცდილობს, ყოფილ მეუღლეს 90.000 ლარი წაართვას“



### პაპის მკვლელობაში ბრალდებულ ახალგაზრდა ქალს 16 წელი მიუსაჯეს



### იტალიაში საქართველოს მოქალაქე ნიჩბით ხელში კაფე-ბარის სტუმრებს დაესხა თავს



ISSN 1987-9385

5 მიიღებენ თუ არა საქართველოს ნატოში კვიპროსის ანალოგიით?

6 ხელვაჩაურის სამარხში ნაპოვნ სასულიერო პირების ნეშტებს 21 აპრილს სამოქალაქო წესით დაკრძალავენ

7 ხაშურში 30 წლის ქალი სარდაფში ჩამომხრჩვალი იპოვეს

8 აშშ-მ „ისლამური რევოლუციის გუშაგი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა

# მეგი გოცირიძე: „9 აპრილის ჯალათ გენერალ ლებედს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა“

## „2007 წლის 7 ნოემბრის დასარბევი საშუალებები „ოცნების“ ლიდერმა შეიძინა“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მმართველს გახარიას სინდრომი დაემართა და წერილებით მიმართავს ერს და ბერს. მარტის მიწურულს ივანიშვილმა ზვიად გამსახურდიას შესახებ დაწერა უსტარი, აპრილის თვეში კი 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი გაიხსენა.

აქამდე მას არც გამსახურდია არ გახსენებია და არც 9 აპრილი, აქედან გამომდინარე ყველას რაღაც კითხვები გაუჩნდა. მხოლოდ მეოცნებეები დარჩნენ აღფრთოვანებული მისი ეპისტოლით.

ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე 1989 წლის აპრილის აქციების დროს რუსთაველზე იყო. ის სხვებთან ერთად შიმშილობდა და კარგად ახსოვს რუსი ჯარისკაცების ქმედებები. გოცირიძეს კარგად ახსოვს დარბევის ოპერაციის ხელმძღვანელთა ვინაობაც. ახსოვს გენერალი ლებედი, რომელიც ივანიშვილთან დაახლოებული პირი იყო.

რატომ არა აქვს ივანიშვილს 9 აპრილის ხსენების უფლება, რა მონაწილეობა მიიღო „ოცნების“ ლიდერმა 2007 წლის აქციების დარბევაში, რატომ ნატრულობს ხალხი სისხლიანი 9 წლის დაბრუნებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

***– ბიძინა ივანიშვილმა 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით საზოგადოებას წერილით მიმართა. თქვენ, როგორც ამ აქციების მონაწილე და დაზარალებული, რა განწყობით შეხვდით „ოცნების“ ლიდერის საცხრააპრილო ეპისტოლეს?***

– ივანიშვილის წერილი 9 აპრილთან დაკავშირებით არის სამარცხვინო. შევახსენებ ყველას, რომ ამ ადამიანის პარტნიორი იყო გენერალი ლებედი, რომელიც

1988 წლის მარტიდან საბჭოთა კავშირის არმიის 106-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიას მეთაურობდა.

სწორედ მისი დივიზია მონაწილეობდა უსასტიკეს სადამსჯელო ოპერაციებში თბილისში 1989 წლის აპრილში. ამავე დივიზიამ დაატრიალა 1990 წლის იანვარში ბაქოში საშინელება.

1996 წელს ალექსანდრ ლებედის რეკომენდაციით დაინიშნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოსტზე 1989 წლის 9 აპრილის მთავარი ჯალათი იგორ როდიონოვი.

1998 წელს სისხლიანი ლებედის მხარდამჭერი და კრასნოიარსკის მხარეში მისი საარჩევნო კამპანიის დამფინანსებელი იყო რუსეთში საშოვარზე წასული ბიძინა ივანიშვილი.

იმ დროს 9 აპრილის ტრაგედიიდან 10 წელიც არ იყო გასული, სოხუმის დაცემიდან – 5 წელი. ცნობისათვის, ივანიშვილის მეგობარი ლებედი აფხაზეთშიც იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ.

მასზე კიდევ ბევრი რამის მოყოლა შემიძლია, მაგრამ რადგან 9 აპრილზე ვსაუბრობთ, მინდა თქვენს მკითხველს გავახსენო, რას წერს ეს ნაძირალა ამ ტრაგედიაზე თავის მემუარებში. თავის დაწყევლილ მემუარებში ის 9 აპრილს დაღუპულ გმირებს ცხვრებს ადარებს.

***– ცხვრებს რატომ ადარებს? ზვარაკად შეწირულ ცხვრებს გულისხმობდა?***

– რას გულისხმობდა ივანიშვილის ჯალათი მეგობარი, არ მაინტერესებს. მე მოგიყვებით, რასაც ის წერს. აი რას წერს ლებედი:

„5 აპრილს ძალიან დაიძაბა ვითარება თბილისში. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის თხოვნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისში ჯარის შეყვანის თაობაზე. რომლის? რა თქმა უნდა, საჰაერო-სადესანტო დივიზიის ნაწილის. მან 1989 წლის 15 თებერვალს დატოვა ავღანეთი, სადაც 1979 წლის თებერვლიდან ომობდა და სად გადაინაცვლა? აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. განჯაში. გავიხსენოთ ყარაბაღი, ბაქო, სუმგაითი, ეს პოლკი ისევ ცხელ წერტილში იყო.

როგორ უნდა ემოქმედათ ჯარისკაცებს? ვითარების შესაბამისად. უნდა დახმარებოდნენ პარტიულ და სამართალდამცველ ორგანოებს წესრიგის დამყარებაში. პოლკი იდგა და ელოდა.



მიტინგი მეორე კვირა გრძელდებოდა, მისი მონაწილეები იყვნენ: ქალები, კაცები, სხვადასხვა ასაკის ადამიანები. მთავრობის სახლის წინ იწვნენ მოშიმშილეები, ჯარისკაცები კი იდგნენ და ელოდნენ. ისმოდა შეძახილები: „თავისუფლება!“ „დამოუკიდებლობა!“ „სუვერენიტეტი!“ „ოკუპანტები!“ „ნაძირლები!“ ჯარისკაცები ელოდნენ, კბილებს აღრჭიალებდნენ.

როგორია? შენ კეთილსინდისიერად იომე სისხლში, ჭუჭყში, იომე იქ, სადაც სამშობლომ გაგაგზავნა, გადარჩი, დაბრუნდი მშობლიურ მიწაზე და გეძახიან: „ოკუპანტებო!“ უსამართლობამ შესაძლოა დაგახრჩოს! ჯარისკაცები მაინც იდგნენ და ელოდნენ. ვიღაცებისთვის კი არ იყო ხელსაყრელი რუსი სამხედროების ეს ვაჟკაცური საქციელი.

რევოლუციონერებს სისხლი სწყურიათ – სამსხვერპლო ცხვრების სისხლი. მათ, ცხვრებმა, საკუთარი სისხლით უნდა მორწყან რევოლუცია. გათვლა მარტივია: პროვოკაცია. მერე დეტალებს ყველა დაივიწყებს, მსხვერპლი კი დარჩება, როგორც სიმბოლო, როგორც მოწოდება ბრძოლის, შურისძიების.

მომიტინგეების მხრიდან მუქარა და ქვების სროლა მატულობდა, ჯარისკაცებს შორის იყვნენ დაჭრილები, საჭირო იყო მოქმედება, საჭირო იყო სატვირთო მანქანების მოცილება ქვების წვიმის შესაჩერებლად. მიზანი მხოლოდ ეს იყო და დაიწყო მოქმედება, მოედანზე კი პანიკა შეიქმნა.

საერთო ჯამში დაიღუპა 18. აქედან – 16 ქალი, სხვადასხვა ასაკისანი, 16-დან 71 წლის ჩათვლით. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ იქნება ჯეირნისთვალება ზვიადი თავისი გესტაპოთი, დანგრეული და გადამწვარი რუსთაველი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ომი ყველას წინააღმდეგ და ათი ათასობით დაღუპული, მაგრამ ეს მსხვერპლი საინტერესო აღარავისთვის იქნება. თავისუფლება, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა მოვა სიცივით, შიმშილით, უიმედობით, აყვავებული ქვეყნის ნგრევით.“

***– აყვავებული ქვეყანა რომელი იყო, საბჭოთა კავშირი?***

– მაგისთვის საბჭოთა კავშირი იყო აყვავებული ქვეყანა. აი, ამ მხეცის და ჯალათის პარტნიორია ივანიშვილი. რა ნამუსით ბედავს და ახსენებს 9 აპრილს? რა ნამუსით ჩადის ხიზულაში და რა ნამუსით ახსენებს გამსახურდიას.

***– იქნებ ამ კითხვას თავადვე უპასუხოთ, რა ნამუსით ახსენებს?***

– იმიტომ, რომ ჩვეულებრივი მარაზმატიკია. გაგვალატაკა და ამიტომ ჰგონია, რომ ისტორია და თავმოყვარეობა დაგვავიწყა.

***– რა აზრი ჰქონდა ამ წერილის დაწერას? თითქმის ყველა გაბრაზდა. არჩილ თალაკვაძეა მხოლოდ აღფრთოვანებული.***

– ვიღაცამ ურჩია, ესეც ადგა და ვიღაცას დააწერინა 9 აპრილზე გულისამაჩუყებელი წერილი.

***– თავად არ დაუწერია?***

– რა სისულელეა. ისეთი ტერმინები და ფრაზებია წერილში მოყვანილი, რომ წარმოუდგენელია, მას ეს ესმოდეს.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ წერილი 9 აპრილს ეხებოდა და ლეიტმოტივად 9 წელი გასდევდა.

***– წერილს ლეიტმოტივად თქვენი მმართველობის სისხლიანი 9 წელი გასდევდა.***

– რას იზამ. სამაგიეროდ გენერალი ალექსანდრე ლებედი იყო იმდენად სპეტაკი და სუფთა, რომ მისი დაფინანსება გადაწყვიტა.

***– ამ 9 წლიდან ეგ კაცი თქვენთან მინიმუმ 8 წელი რომ იყო, ამაზე ვინ აგებს პასუხს, თქვენ თუ ის?***

– ძალად არავის მოუყვანია ეგ ჩვენთან და რაღაცების მოგონებებს თავი დაანებოს. რომელი მიტინგების დარბევაზე საუბრობს საერთოდ? ხელისუფლებაში რომ ვიყავით, თვეების განმავლობაში გრძელდებოდა აქციები. აღარ გახსოვთ, რუსთაველის გამზირი 3 თვე რომ იყო გადაკეტილი? აღარ გახსოვთ საკნებით ჩახერგილი ქუჩები?

გაიხსენეთ, რამდენი აქცია გაიმართა და რამდენი დაარბიეს. სულ რამდენიმე აქციის დაშლა მოხდა. დიახ, ჩვენ დავშალეთ რამდენიმე აქცია.

***– ბიძინაც მაგას ჩივის თავის ეპისტოლეში.***

– ჩვენ მხოლოდ ანტისახელმწიფოებრივი აქციები დავშალეთ. სხვა აქციებისთვის ხელიც არ გვიხლია. კიდევ გაგახსენებთ რამდენიმე თვის მანძილზე გადაკეტილ რუსთაველს.

იმ დროს, როცა აქციებს ვშლიდით, ივანიშვილს ნაციონალების საწინააღმდეგოდ ხმა არ ამოუღია. გინდა გითხრათ, რა მოიმოქმედა „ოცნების“ ლიდერმა 2007 წლის ნოემბერში? ვფიქრობ, არ იქნება უინტერესო.

ივანიშვილმა პირადად გააგზავნა თავისი წარმომადგენელი აზერბაიჯანში, რომელმაც მიტინგის დასარბევი საშუალებები შეიძინა.

***– მიტინგის დასარბევ საშუალებებში რას გულისხმობთ?***

– ხელკეტებს, რეზინის ტყვიებს, გაზს.





მეტსაც გეტყვით, ამ ყველაფრის შესაძენად ფული ივანიშვილმა გადაიხადა.

ამ კაცის ნაყიდი ხელკეტებით და ტყვიებით დაარბიეს ნაციონალებმა აქციის მონაწილეები და არ მესმის, რანაირად ებრძვის ეს კაცი ნაციონალებს. თუ ეგეც ისეთივე რეჟიმის მსხვერპლია, როგორიც მამუკა ბახტაძე.

***– იმას რაღა სჭირს?***

– რაღა უნდა სჭირდეს იმაზე მეტი, ივანიშვილის პრემიერია. 2012 წელს ნაციონალებს ათეულობით ათასი ლარი შესწირა და ახლა რეჟიმის მსხვერპლის როლს თამაშობს. ეს როლი კარგად მოირგეს სხვა გაქოცებულებმაც.

ივანიშვილი 1991 წლის 9 აპრილსაც იხსენებს. მაგ დღეს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ამბიდან რამდენიმე თვეში შევარდნაძემ ხაინდრავასთან და სხვებთან ერთად პირველი პრეზიდენტი ჯერ განდევნა, შემდეგ მოკლა, თავად კი მეორე პრეზიდენტად მოევლინა ქვეყანას.

მესამე პრეზიდენტმა მეორე პრეზიდენტისგან დაქცეული ქვეყანა ჩაიბარა. მაშინ საქართველო იყო ჭაობი. სააკაშვილმა ამ ჭაობში სახელმწიფო შექმნა.

ივანიშვილის ხათრით არჩეულმა მეოთხე პრეზიდენტმა, მარგველაშვილმა, მესამე პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა.

რამდენიმე თვის წინ კი პრეზიდენტად კრემლის რეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი დაგვისვეს. მისი პრეზიდენტობის ხანა საქართველოში სამარცხვინო ხანად შევა.

გამსახურდიას დამხობის შემდეგ, საქართველოში ნათელი პერიოდი იყო სწორედ ის 9 წელი. მე მიხარია, რომ ამ 9 წლის ერთ-ერთი შემოქმედი ვარ. ოღონდ ივანიშვილის მსგავსად, აქციის დარბევა არ დამიფინანსებია. რაც დრო გავა, საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დააფასებს იმ 9 წელს. მათ შორის იქნებიან ისინიც, ვინც მიშას ებრძოდა.

***– ვიღაცებმა უკვე დაიწყეს იმის აღიარება, სააკაშვილი ცუდი კი იყო, მაგრამ ამათ ჯობდაო.***

– ჯერ სად არიან. აღიარებები მერე ნახეთ. დაანგრიეს და გააუბედურეს ქვეყანა. იმისთვის, რომ არჩევნები მოიგონ, ადამიანების დახოცვასაც არ ერიდებიან.

არავის ეგონოს, რომ დაგვავიწყდა თუ როგორ ჩაახრჩვეს ქვევრში 9 თვის ბარბარე რაფალიანცი. მაშინ მანანა ბერიკაშვილი ბოლო ხმაზე ჩხაოდა, ეს ნაციონალებმა გააკეთესო. რატომ არ არის ეს მავნებელი დაკითხული? მისი ადგილი ციხეშია.

პუტინის რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ვახსენე და ძალიან შემრცხვა, როცა ეს ქალი საქართველოს დროშაზე საუბრობდა. იმ დროშაზე საუბრობდა, რომლის დაცვასაც უამრავი ადამიანი შეეწირა. ამ დროშის და სამშობლოს დამცველებს ეს ქალი ჰააგაში უჩივის.

***– რას ჰქვია ჰააგაში უჩივის?***

– რაღაც უბედურება წიგნი დაწერა, რომლის გამოყენებასაც რუსეთი აპირებს ჩვენ წინააღმდეგ. ამ რეზიდენტის ნაბოდვარის გამო, ჩვენი ეროვნული გმირი, გიორგი ანწუხელიძე შეიძლება ჯალათად გამოიყვანონ.

გული მისკდება, როცა წარმოვიდგენ, როგორ აწამეს ეს ბიჭი და რისთვის, რომ საქართველო პუტინის მონებს ჩაეგდოთ ხელში. ვერ ელირსებიან. ჩვენ გიორგი ანწუხელიძის მოდგმის ხალხი ვართ და ასე იოლად არ დავნებდებით. სამშობლოს არავის დავუთმობთ. საკმარისია, რასაც ამ ქვეყანას ჯიჯგნიან პუტინის მონები. ეს აუცილებლად დასრულდება. ივანიშვილს წერილების წერა აღარ უშველის.

ხალხმა მათ ფაქტიურად უარი უთხრა. ეს საპრეზიდენტო არჩევნებზეც გამოჩნდა. ჩვენი რეიტინგი კიდევ უფრო მოიმატებს. ლამის მთელი საქართველო ელოდება მიშას.

***– თუ ელოდებიან, რატომ არ ჩამოდის?***

– იმიტომ, რომ ჯერ ამის დრო არ დამდგარა. მიშა თუ ჩამოვა, მას დაიჭერენ. მას ციხის კი არ ეშინია, უბრალოდ იცის, რომ ციხეში მას წამლებით გააგიჟებენ. ეს სცენარი ივანიშვილის კონტროლირებადმა მედიამ უკვე გააჟღერა. ტყუილად კი არ წერდნენ, რომ მიშა გიჟი იყო. ბუნებაში არარსებული ფსიქიატრების დასკვნები რამდენჯერ გამოაქვეყნეს.

იმედი ჰქონდათ, რომ სააკაშვილს ციხეში ჩასვამდნენ, იქ გააგიჟებდნენ და მერე იტყოდნენ, ეს ისედაც გიჟი იყოო.

მიშა საქართველოში მაშინ ჩამოვა, როცა ამის დრო დადგება. ბორია ივანიშვილის გეგმებს სისრულეში მოყვანა არ უწერია. მიშას ეძახდნენ გიჟს და თავად ელემენტარულად მწვანე და წითელი ფერი ვერ გაურჩევიათ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილმა 2020-თვის დაიწყო მზადება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, თქვენ როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც 9 აპრილს კი ეძღვნება, მაგრამ მიმდინარე პოლიტიკური ქვეტექსტებიც იკითხება?***

– მე მერჩივნა, რომ ეს წერილი მიძღვნოდა მხოლოდ 9 აპრილს, მის შეფასებას და თავისუფალი ყოფილიყო მიმდინარე პრობლემატიკისგან. რადგან ასეთი პრობლემები ყოველთვის დაბლა სწევს ასწლეულების მნიშვნელობის მქონე მოვლენის პათოსს.

ზოგადად, რაც უფრო მეტი იქნება პოლიტიკური ფიგურებისგან მსგავსი შეფასება 9 აპრილის, ეს კარგია. მხოლოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას. წერილში ივანიშვილი საზოგადოების დაყოფასა და გახლეჩაზე საუბრობს, რაც ჩვენი საზოგადოების სენი აღმოჩნდა. რაც უფრო გავაცნობიერებთ და დავფიქრდებით თუ რა პრობლემა შეიძლება მოუტანოს ამან ქვეყანას, ჩვენს მცირერიცხოვან სახელმწიფოს ამ ყველაფერმა, ეს კარგი იქნება.

***– ხიბულაში ჩასვლა, პირველი პრეზიდენტის საქმის გამოუძიებლობაზე განცხადება, ეს წერილი მხოლოდ წინასაარჩევნო კონტექსტს მოიცავს თუ შეიძლება მართლაც დაიწყოს ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიება?***

– საარჩევნო კონტექსტი რომც იყოს, ეს არ გამორიცხავს, რომ ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ნებისმიერი ხელისუფლების ვალია, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის საქმის გამოძიება დაიწყოს და ხალხს, ქვეყნის მოქალაქეებს უთხრას სიმართლე.

ისე, არჩევნები ნებისმიერ პოლიტიკოსს აიძულებს, რომ რაღაც ნაბიჯები გადადგას და განცხადებებიც გააკეთოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ ეს განცხადება მართლაც წინასაარჩევნოდ არის გაკეთებული, მაშინ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს ხელისუფლებას გამოძიების მიმართულებით, რადგან საკმაოდ დიდი დრო არ არის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი და თუ ნაბიჯები არ იქნება გადადგმული, ეს ძალიან ცუდად აისახება „ქართული ოცნების“ იმიჯზე, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც პირადად დადო გამოძიების პირობა.

მიუხედავად ამისა, მე ვერ გეტყვით, დაიწყება თუ არა გამოძიება, მაგრამ მე მეეჭვება, რომ გამოძიება დიდად შედეგიანი იყოს. ჯერ ერთი, საკმაოდ დიდი დრო არის გასული, რაც, როგორც იურისტები ამბობენ, გარკვეულ პრობლემას ქმნის. მერე მეორე, გამსახურდიას გარდაცვალება მხოლოდ შიდა ქართული პრობლემა არ იყო. მაშინ ესროლეს დუდაევსაც და გაანადგურეს. ასევე გაანადგურეს ზვიად გამსახურდიაც.



მოგეხსენებათ, ისინი კავკასიური სახლის იდეისთვის იბრძოდნენ, რაც რუსეთს აშფოთებდა. ძალიან ბევრი ფაქტორი შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ რეალობის დასადგენად. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროცესი არ შეფასდეს.

***– გამოდის, ივანიშვილმა უკვე დაიწყო 2020 წლისთვის წინასაარჩევნო კამპანია?***

– დიახ, როგორც ჩანს, უკვე დაიწყო. თქვენ მიერ ნახსენები ხიბულა, წერილი, რომელიც 9 აპრილის შეფასებას ეძღვნება, მაგრამ იქ გარეულია მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, დიახ, სწორედაც რომ წინასაარჩევნო კონტექსტში ჯდება. წერილში იკითხება ყოფილი თანაგუნდელები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ დატოვეს უმრავლესობა და მათ დაუპირისპირდნენ. იმასაც ამბობს, უფრო ზუსტად კი, ამ ყოფილ თანაგუნდელებს ეუბნება, 9 აპრილის დროს არავინ არკვევდა, ვინ სად იყოო! წარსულ პოლიტიკურ პროცესებზე დაყრდნობით ივანიშვილმა ისაუბრა დღევანდელობაზე და დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებზე. ეს ერთ-ერთი ხერხია და, როგორც ჩანს, მას ურჩიეს, რომ ამ ხერხისთვის მიემართა.

***– თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენეთ, რომ ივანიშვილი სიურპრიზებს დაიწყებს. უკვე დაიწყო?***

– ვფიქრობ, დაიწყო. ასეთი აქტიური ივანიშვილი არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, მხოლოდ 2012 წლის არჩევნებამდე მახსოვს. დიახ, ივანიშვილმა ერთი წლით ადრე დაიწყო არჩევნებისთვის მზადება და ახლა ჩვენ ამ პროცესს ვადევნებთ თვალ-ყურს.

მაშინაც წერილის გამოქვეყნებით დაიწყო, იქაც გარკვეული პოლიტიკური ეტაპები შეაფასა. ერთი წლით ადრე დაიწყო აქტიურობა და გამარჯვებამდეც მიიყვანა. თუმცა, ეს აქტიურობა რიტორიკასთან ერთად ალბათ გარკვეულ პოლიტიკურ სვლებსაც გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდება შედეგის მიღება.

***– შეიძლება სხვა არჩევნებისგან განსხვავებული კამპანია ვიხილოთ? დღემდე ყველა არჩევნები სწორედ „სისხლიან 9 წელზე“ და სააკაშვილის მობრუნებაზე იყო აგებული.***

– დიახ, ყველა არჩევნებს ლეიტმოტივად ეს ორპარტიული დაპირისპირება გასდევდა. თუმცა, აქცენტირება 9 წელზე და სააკაშვილზე, დიდწილად ნაციონალური მოძრაობის აქტიურობაზეც იყო დამოკიდებული. იმ სტილზე, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა არჩევნებზე. თუკი ისინი კვლავ მიმართავენ ამ სტილს და ამ მეთოდს, მაშინ მე არ გამოვრიცხავ, რომ კვლავ იგივე ვიხილოთ, რაც აქამდე იყო. თუ თავად ნაციონალური მოძრაობა შეცვლის სტილს, მაშინ შეიძლება ასეთი პოლარიზება აღარ იყოს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ეს დაპირისპირება არ არის ცალმხრივი.

თუმცა, მე სულ არ გამოვრიცხავ, რომ ამ ორპარტიულ დაპირისპირებაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მესამე ალტერნატივა, რომელიც აუცილებლად გამოჩნდება ასპარეზზე. უკვე გარკვეული ძალები ემზადებიან და ეს აშკარაა.

***– შეგიძლიათ გვითხრათ ვინ არიან?***

– შეიძლება მათ ჯერ ასეთი ერთმნიშვნელოვანი სახე არ აქვთ ჩამოყალიბებული, მაგრამ გარკვეული ჯგუფები უკვე ემზადებიან და ვიმეორებ, ეს აშკარაა. ისინი მოინდომებენ, რომ ორივეს ალტერნატივა იყვნენ.

სწორედ მესამე ძალის, ალტერნატივის გამოჩენა აიძულებს „ქართულ ოცნებას“, რომ სხვაგვარად იმოქმედოს და უარი თქვას იმ ფორმულაზე, რომლითაც აქამდე მოქმედებდა – მგელი მოდის, მგელი მოდის! ეს უკვე აღარ იმუშავებს და მას უკვე სულ სხვაგვარად მოუწევს აწყობა.

# გახარიას გაპრემიერება ამერიკაში გადაწყდება

შორენა მარსაგიშვილი



უკვე მეორე წელია, რაც საქართველო გიორგი გახარიას გაპრემიერებაზე საუბრობს. ის ამ თანამდებობასთან რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ქვეყნის მმართველი გადაწყვეტილებას ცვლიდა, რაშიც მას „ოცნების“ ზოგიერთი ლიდერიც ეხმარებოდა.

მმართველ პარტიაში შინაგან საქმეთა მინისტრი გულზე დიდად არ ეხატებათ. მათ მზეს არც შს მინისტრი ფიცულობს.

საქმეები ისე მიდის, რომ მეოცნებეთა ნაწილის ნების წინააღმდეგ გახარია მთავრობის მეთაური მაინც გახდება. „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ სწორედ შს მინისტრის გაპრემიერებას უკავშირდება გახარიას აშშ-ში ვიზიტი.

ამ საპატიო მიზეზის გამო არ იმყოფებოდა ის 6 აპრილს ზუგდიდში მერობის კანდიდატის წარდგენისას. არადა ყველამ იცის, რომ ივანიშვილს სამეგრელოს რეგიონი გახარიასთვის აქვს ჩაბარებული. ის აქტიურად მონაწილეობდა მერობის კანდიდატის შერჩევაშიც.

აქედან გამომდინარე, ზუგდიდში მისმა გამოუცხადებლობამ საზოგადოებაში კითხვები გააჩინა. კითხვების გაჩენას ხელი შეუწყო „ოცნების“ ზოგიერთმა ლიდერმა. მათთან დაახლოებული ხალხი ამტკიცებდა, რომ მთავარი მეოცნებე გახარიას გაგდებით დაემუქრა. იყო მეორე ვერსიაც – შს მინისტრი ივანიშვილს მოსკოვში წასვლით აშანტაჟებს.

იმ დროს, როცა მავანი მას სამოსკოვედ ულაგებდა ჩემოდნებს, ქვეყნის პირველი პოლიციელი ამერიკაში მიფრინავდა. ის იქ რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა და როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო გვიყვება, ამის შესახებ მმართველ პარტიაში ბევრს არ ჰქონდა ინფორმაცია.

ჩვენი წყარო ამბობს, რომ გახარიას იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ექნება, სადაც მსტოვართუხუცესს რაღაც კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მინისტრმა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა გაუქროს მითი იმის შესახებ, რომ ის მოსკოვის კაცია.

ამის გაკეთება ადვილი არ იქნება. გახარია წლების განმავლობაში ცხოვრობდა მოსკოვში. იქ ჰქონდა ბიზნესი და სერიოზული ფულიც იშოვა. საქართველოს მთავრობაში სამუშაოდ პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოიყვანეს.

გახარიას მოსკოვის კაცს ეძახდა ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობიც. ყველაზე გავლენიანმა მღვდელმთავარმა საჯაროდ განაცხადა, რომ შს მინისტრის გაპრემიერებას არ დაუშვებდა.

ბოლო დროს პატრიარქის ქორეპისკოპოსს მსტოვართუხუცესი აღარ უხსენებია. როგორც ამბობენ, მათ შორის ყველაფერი მოგვარდა. იმასაც ამბობენ, რომ ბოდბელ ეპისკოპოსს არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გახარია სასულიერო პირებზე კომპრომატებს აგროვებდა.

არც ის არის შემთხვევითი ამბავი, რომ ამერიკას ბოლო დროს ხშირად სტუმრობს მეუფე იაკობი. ცოტა ხნის წინ მას ეპარქიაში საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელიც ესტუმრა. პატრიარქის ქორეპისკოპოსს მკვეთრად გამოხატული ანტირუსული პოზიცია უკავია.

მთავარი პოლიციელი ბოლო ხანებში მღვდელმთავრებს ხშირად სტუმრობს. თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე ის მთავრობის წევრებთან ერთად არ დგას.

ახლო მომავალში მას მინისტრებთან ერთად მაინც მოუწევს დადგომა. ამერიკული ტესტების გავლის შემთხვევაში ის პრემიერი გახდება და მთავრობის სხდომების ჩატარება მოუწევს.

თუ მთავარი პოლიციელი მთავრობის მეთაური გახდა, ეს იქნება მესამე შემთხვევა, როცა შს მინისტრი პრემიერად წავიდა.

პირველად ეს მიხეილ სააკაშვილმა 2012 წელს გააკეთა, როცა ვანო მერაბიშვილი შს მინისტრობიდან მთავრობის მეთაურად გადაიყვანა.

მსგავსი ამბავი 2013 წლის დამლევსაც ვიხილეთ. პრემიერობიდან წასულმა ბიძინა ივანიშვილმა ამ პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი აკურთხა, რომელიც მანამდე მთავარი პოლიციელი იყო.

ორივე შემთხვევა ცუდად დასრულდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მერაბიშვილი ციხეში გაუშვეს, ღარიბაშვილი კი ძალიან უცნაურად მოხსნეს თანამდებობიდან და „ოცნება“ ასეთ წკვარამში რომ არ ჩავარდნილიყო, ივანიშვილი მას არც კი დააბრუნებდა.

პრემიერობა არც გახარიასთვის იქნება იოლი. მას თავისი გუნდი არ ჰყავს. „ოცნებაში“ ის არ უყვართ. მასთან დაპირისპირებულია კახა კალაძეც. ამბობენ, რომ მთავარ პოლიციელს არც ღარიბაშვილი სწყალობს.

ამ ამბავში გახარიასთვის კარგი ისაა, რომ კალაძე და ღარიბაშვილი დასანახად ვერ იტანენ ერთმანეთს და, დიდი ალბათობით, ვერ გაერთიანდებიან. თუმცა ქართულ პოლიტიკას ამათზე უარესად დაპირისპირებული ხალხიც დაუყენებია ერთ პოზიციაზე.

მართალია, მსტოვართუხუცესის დაწინაურების ამბავი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ „ოცნებაში“ აღიარებენ, რომ ის ძლიერი პრემიერი იქნება. ყველაფერს ისევ ივანიშვილს დაეკითხება, მაგრამ მთლად მამუკა ბახტაძე არ იქნება.

ამ უკანასკნელს, როგორც ამბობენ, ერთ-ერთ ქვეყანაში საქართველოს ელჩად გაუშვებენ. ადრე ვარაუდობდნენ, რომ 2020 წლის არჩევნებზე ის იქნებოდა „ოცნების“ სიის პირველი ნომერი, ღარიბაშვილის დაბრუნების შემდეგ კი ეს მოცემულობა შეიცვალა. საარჩევნო სიის პირველნომრობას ღარიბაშვილს უწინასწარმეტყველებენ.

# „ქვეყანასა და ერს თუ თავმოყვარეობა აქვს, გამსახურდიას მკვლელობა უნდა გამოიძიონ“

გულიკო ბალაძე

9 აპრილი ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს – 1989 წლის 9 აპრილს, როცა საბჭოთა იმპერიულმა ძალებმა საქართველოს მთავრობის შენობის წინ სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, ორლესული ბარებითა და მხუთავი გაზით გაუსწორდნენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მშვიდობიან დემონსტრანტებს, რა დროსაც დაიღუპა 21 ადამიანი და 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენას.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივსაცემად, 1991 წლის 9 აპრილს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა.

– 9 აპრილს დაღუპულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გფარავდეთ ღმერთი, – განაცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე, რომელიც მაშინ ილია მართლის საზოგადოების წევრი გახლდათ და ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფს ხელმძღვანელობდა, „ახალ თაობასთან“ იხსენებს იმდროინდელ მოვლენებს.

***– ბატონო გიორგი, 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვიგემეთ იმპერიის რისხვა. თუმცა, 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. როგორ იხსენებთ მაშინდელ მოვლენებს?***

– ყველა ერს აქვს უფლება მოითხოვოს დამოუკიდებლობა, მით უმეტეს, ფორმალურად, საბჭოთა კავშირის ე.წ. კონსტიტუციაში ეწერა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს უფლება აქვთ, გავიდნენ საქართველოს შემადგენლობიდან.

ეროვნული მოძრაობა დაიწყო 1997 წლის ბოლოს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნა. ამიტომ იმართებოდა აქციები უნივერსიტეტთან, მთავრობის სახლთან. მაშინ შეიქმნა არაფორმალური ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და სხვები. მათი ბრძოლის შედეგად საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობის აღდგენას.

მანამდე იყო აქციები, ლიხნის წერილი. ვითარებას ხელოვნურად ძაბავდნენ. 9 აპრილი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ბრძოლის დამაგვირგვინებელი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკა ჩიტაძე: „ბესელია-კვაჭანტირაძისთვის სამივლინებო დაფინანსების შეჩერება პოლიტიკური ანგარიშსწორებაა“

## „როგორც არჩევნების ჩატარებაზე მივიღეთ შენიშვნა დასავლეთისგან, ისე იქნება ახლაც“

იაგო ნაცვლიშვილი



საპარლამენტო უმრავლესობიდან გასული დეპუტატები ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე აპრილში სტრასბურში ვერ წავლენ და ევროპის საბჭოს საპარლამენტო სესიაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მიზეზი კი არის, რომ უმრავლესობამ დელეგაციის სიიდან მათი ამოღების გადაწყვეტილება მიიღო. ეს იანვრამდე ვერ ხერხდება, სანაცვლოდ კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათი მივლინება არ დაფინანსდება.

„კობახიძის გადაწყვეტილება აღასრულა და ეს გზა, სამწუხაროდ, გააგრძელა დელეგაციის ხელმძღვანელმა, თამარ ჩუგოშვილმა. მან მეც და ზვიად კვაჭანტირაძეც ამოგვიღო დელეგაციიდან და ახლა იმის თქმა, რომ საკუთარი ხარჯებით ვიაროთ, როგორც პარლამენტის წარმომადგენლებმა, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომელზეც ასამბლეის ხელმძღვანელები იმსჯელებენ. ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი უხერხული მომენტი საპარლამენტო ასამბლეისთვის და უპრეცედენტოც. ამ კვირის საპარლამენტო სესიას, სტრასბურში გამოვტოვებთ. პარლამენტმა უარი თქვა ჩვენს გაგზავნაზე და ეს გაკეთდა თამარ ჩუგოშვილის წერილით“, – განაცხადა ეკა ბესელიამ „ინტერპრესნიუსთან“.

არის თუ არა ეს პოლიტიკური ანგარიშსწორების პოლიტიკა, როგორ აღიქმება ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან და რატომ ვერ გავცდით კინკლაობის პოლიტიკას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

***– ბესელიას და კვაჭანტირაძის მივლინებებთან დაკავშირებით ატყდა აჟიოტაჟი, რომ მმართველი გუნდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღარ დააფინანსებს. ხომ არ აჩენს განცდას, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნებია?***

– ჩემი აზრით, კი ბატონო, ასეა. რაც შეეხება სამივლინებო ხარჯებს, თუ ამას განიხილავენ, მაშინ სხვა საკითხები განიხილონ სამივლინებო თანხების განკარგვასთან დაკავშირებით.

***– რაზე მიანიშნებთ?***

– 2013 წელს, თუ სწორად მახსოვს, 9 მილიონი ლარი გაიხარჯა. ან იგივე 2014 წელს დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარი დაჯდა მაშინდელი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ნიუ იორკში და მისი გამოსვლა გაეროს ასამბლეის სხდომაზე. კვება, სასტუმროში განთავსება და ა. შ. ძალიან ბევრი სხვა საკითხი, რაც ეხება სამივლინებო თანხებს, მაგალითად, საკრებულოს წევრები როგორ დაესწრნენ რაგბის მატჩს ბრიტანეთში. მსოფლიო ჩემპიონატზე მაქვს საუბარი, როდესაც საქართველოს ნაკრები თამაშობდა. ძალიან ბევრი საკითხია. ისევ და ისევ საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან.

***– ანუ, თუ საქმე გვაქვს ე. წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკასთან, მაშინ სიღრმისეულად უნდა იყოს განხილული და არა კონკრეტულად უმრავლესობიდან წასულ დეპუტატებზე და მხოლოდ მათ არ უნდა შეეხოთ ეს?***

– დიახ. ზუსტად ასეა. როგორც უხეშად იტყვიან, ზუსტად აქ არის ძაღლის თავი დამარხული.

***– აქ კიდევ ერთი საკვანძო საკითხია ქვეყნის იმიჯი. როგორ ფიქრობთ, ასეთი გადაწყვეტილება როგორ იქნება აღქმული ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან იგივე ევროსაბჭოში. რა არგუმენტი უნდა იყოს ნათქვამი „ოცნების“ მიერ, რომ ეს დამაჯერებლად იყოს აღქმული?***

– ასე მგონია, რომ შენიშვნას მივიღებთ. როგორც ეს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით მივიღეთ. ვნახეთ, როგორი კრიტიკული დასკვნაც გამოაქვეყნა ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისმა. ანალოგიურად იქნება ახლაც. მაშინ რატომ გვაქვს საქმე შერჩევითობასთან?! რა თქმა უნდა, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები დაეყრდნობიან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებს. რაში იხარჯება სამივლინებო თანხები, რაში ხარჯავდნენ ჩინოვნიკები. რატომ ხდება ისე, რომ მივლინებებს უზღუდავენ მათ, ვინც „ქართული ოცნების“ მიმართ ლოიალურად არ არიან განწყობილები. ისევ და ისევ შენიშვნა, რომელიც შერჩევით სამართალს უკავშირდება.

***– თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გავცდით კინკლაობის პოლიტიკას?***

– იმიტომ, რომ შესაბამისი პოლიტიკური კულტურა არ არის შესაბამისად ჩამოყალიბებული. ჩვენთან პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობა, სამწუხაროდ, ფასდება არა იმით, თუ რა პოლიტიკური სარგებელი მოაქვს ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობას საქართველოსთვის, არამედ იმით, თუ რამდენად ლოიალურად არის განწყობილი ის მმართველი პარტიის მიმართ. რამდენად მისაღებია ის თუნდაც იგივე არაფორმალური მმართველის მიმართ და ასევე ვერ გავცდით იმიტომ, რომ ჩვენთან შავი პიარი დიდი დოზით არის პოლიტიკურ ურთიერთობებში.

მე ასე მგონია, რომ დაბალი პოლიტიკური კულტურისა და დაბალი დემოკრატიის ნიშანი გახლავთ ეს ყოველივე.

***– ეს მხოლოდ ხელისუფლების პრობლემაა?***

– არა. საზოგადოების პრობლემაა. ძალიან ხშირად საზოგადოებაშია ჭორაობა, სახელის გატეხვა და შავი პიარის აგორება. ეს საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რაც აისახება სახელისუფლებო ურთიერთობაზე. ხელისუფლება საზოგადოების ნაწილია. პოლიტიკური ელიტის საქმიანობა უფრო შესამჩნევი ხდება, ვიდრე რიგითი ადამიანების. იმიტომ, რომ რიგითი ადამიანების საქმიანობა შესამჩნევი იყოს ვიწრო წრისთვის. მაგრამ, არა ვთქვათ ფართო საზოგადოებისთვის.

როდესაც საუბრობენ, რომ პოლიტიკაში წასული ადამიანები ბინძურები არიან და პოლიტიკა ბინძური საქმეა, მე ასე ვიტყოდი, რომ ეს ხშირ შემთხვევაში ადამიანებს შორის ურთიერთობებია არაჯანსაღი. ხშირ შემთხვევაში საქართველოში, სადაც დემოკრატიული და პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაა, შავი პიარი დამახასიათებელია. იგივე მოტყუება არის დამახასიათებელი საზოგადოებაში და ეს შესაბამისად აისახება პოლიტიკოსების ქმედებებზე. როგორიც არის ადამიანი, ისეთივეა მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა.

ბევრი პოლიტიკური მოღვაწე საქართველოში საზოგადოების წიაღიდან მოდის. მნიშვნელოვან ნაწილზეა საუბარი, რომლისთვისაც მორალური და ზნეობრივი პრინციპი ამოსავალი არ არის. როგორც დიდი ქართველი მწერალი დავით გურამიშვილი იტყოდა: „ავს თუ ავი არ უწოდე, კარი როგორ უნდა ვაქო“.

***– ბოლოს ისევ მივლინების თემაზე გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, რომ უნდა დააფინანსონ თუ არა ბესელიამ და კვაჭანტირაძემ საკუთარი მივლინებები საკუთარი ხელფასიდან?***

– არა. თუ ისინი სახელმწიფოს სახელით მიდიან, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, რომ დააფინანსოს მათი დასწრება სხვადასხვა კონფერენციაზე.

***– თუმცა, ამ მოცემულობის წინაშე აყენებს მათ მმართველი გუნდი.***

– თვითონ არ უნდა დააფინანსონ და არც მგონია თვითონ დააფინანსონ. თუ პარლამენტის წევრია, მაშინ პარლამენტი ვალდებულია გააკეთოს. თუ ისინი ქვეყნისთვის საჭირო საქმეზე მიდიან, მაგალითად, რაღაც კონფერენციაზე იგეგმება მათი გამოსვლა სახელმწიფოს სახელით, მაშინ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდნენ. როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე ოპოზიციის. დაფინანსება უნდა მოხდეს ქვეყნის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენთან დაფინანსება ხდება იმის მიხედვით, ვინ უფრო ლოიალურია და ვინ არა.

ის, რომ მივლინების დროს საქართველოს სასარგებლოდ ვინ გააკეთებს კარგ მოხსენებას და ვინ არა. ეს მხოლოდ პარლამენტს არ ეხება. ეს ეხება სხვადასხვა უწყებებსაც. ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროსაც. პირადად ვარ აღნიშნული ფაქტის მომსწრე. ხშირ შემთხვევაში ახლობლებს უშვებდნენ. მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციაზე გაუშვეს ადამიანი, რომელმაც ინგლისური არ იცოდა. უხეშად რომ ვთქვათ, ძმაკაცმა ძმაკაცს „გაუსწორა“. ყოფილა ასეთი შემთხვევები. როცა შეიძლებოდა სხვა წასულიყო და ღირსეულად წარედგინა ქვეყანა. მით უმეტეს, როცა კონკრეტული უწყების სახელით გამოდის. მეორე შემთხვევაა, რომ არ აფინანსებენ ადამიანის მივლინებას, რომლის მოწვევაც მოდიოდა ამ კონფერენციიდან. იმის გამო, რომ არ იყო კონკრეტული გუნდის წევრი, მას ექმნებოდა პრობლემები.

ანუ ასეთი სახის პრობლემები არსებობდა ადრეც და არსებობს ახლაც.

# „ქვეყანასა და ერს თუ თავმოყვარეობა აქვს, გამსახურდიას მკვლელობა უნდა გამოიძიონ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ეტაპი. მაშინ მე გახლით წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი. ამ ორგანიზაციას მერაბ კოსტავა ხელმძღვანელობდა. მე ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. 9 აპრილს ვიმყოფებოდი მთავრობის სახლთან.

მაშინ მე იქ ვნახე ერთ მუშტად შეკრული ქართველობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეით გამოდიოდა. 8 აპრილს რუსულმა საბჭოთა იმპერიამ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები შემოიყვანა, ეგონა ხალხს შეაშინებდა.

***– დარბევის მომენტში თქვენ მთავრობის სახლთან იმყოფებოდით?***

– რა თქმა უნდა, ხელკეტი მეც მომხვდა. გადამიყვანეს ქაშვეთის ეკლესიაში, იქიდან ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში წამიყვანეს, შემდეგ ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში. მეორე დღეს წამოვედი და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს შევუერთდი. საავადმყოფოებში ადგილები აღარ იყო.

***– გაზით თქვენც მოიწამლეთ?***

– არა, გაზი ჩემს შემდეგ გაუშვეს, პირველი რიგები რომ მოცელეს. ხელკეტის დარტყმის შედეგად თავი მქონდა გახეთქილი. მთავარი ის იყო, რომ მაშინ ყველა იყო ერთი იდეით გაერთიანებული – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეით.

***– დღეს ზოგი იმას ამბობს, რომ შეიძლებოდა იმ დარბევის თავიდან აცილება.***

– არ ვიცი, ვინ რას ამბობს.

***– პატრიარქს არ დაუჯერესო.***

– დაჯერებაზე არ იყო. ფიცი გვქონდა დადებული, რაც უნდა მომხდარიყო, იქ უნდა ვმდგარიყავით.

***– ისე, პატრიარქის გაფრთხილების შემდეგ, ხალხმა მხოლოდ მამაო ჩვენოს წაკითხვა მოასწრო და თან მოედანზე ტანკები შემოვიდნენ.***

– დიახ, ტანკები უკვე მომდგარი იყვნენ. მომიტინგეთაგან წასვლას არავინ აპირებდა. ის იყო ბრძოლის ველი. მერაბ კოსტავამ ძალიან კარგად თქვა, რომ ეს იყო წამი, როცა ქართველი ერი ერთ მუშტად შეკრული, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად იდგა.

***– არ იფიქრეთ, რომ იქ შეიძლებოდა ტანკები შემოსულიყვნენ და ესროლათ?***

– ალბათ, იმ მომენტში, როგორც მე, ისე სხვა, საკუთარ თავზე არ ფიქრობდა. იქ შეკრებილები დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

***– სხვათა შორის, საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა კარგად მუშაობდა და ავრცელებდნენ აზრს, აი, ქალები დაიღუპნენ, ლიდერები კი გადარჩნენო.***

– ლიდერები იბრძოდნენ ისევე, როგორც ყველა იქ მდგომი. ვიღაცას უნდა ლიდერებს ჩირქი მოსცხოს. ეს არის სუფთა სიცრუე. შემოსულ ჯარს უპირისპირდებოდნენ. ამას ვინც ამბობს, საკუთარ გულში ჩაიხედოს, რამდენად მართალია. ქალები უკან გავიყვანეთ, მაგრამ ტრაგედია მაინც დატრიალდა.

1989 წლის 9 აპრილი იყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთი ეტაპი, 1991 წლის 9 აპრილი კი დამაგვირგვინებელი ეტაპი, როცა დამოუკიდებლობა აღდგა.



***– იმ დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოელოდით? წინასწარ ამის თაობაზე განცხადებები არ გაკეთებულა.***

– მე ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი და, გარკვეულწილად, ინფორმაცია მქონდა, რომ იმ დღეს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო. მანამდე მსჯელობდნენ, 9 აპრილს გამოცხადებულიყო დამოუკიდებლობის აღდგენა, თუ 26 მაისს. ძალიან სწორად გადაწყდა, იმ გმირ ადამიანებს, რომლებმაც თავი შესწირეს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, დაუფასდათ თავგანწირვა.

მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ უსწრებდა 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი, რაც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს დღესაც. ოკუპანტმა შეიძლება ბევრ რამეს გვერდი აუაროს, მაგრამ რეფერენდუმს გვერდს ვერ აუვლის, რადგან მასში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამაც და ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ეს ფაქტი გამოსაყენებელია – საქართველომ უნდა აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

***– ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე რაიმეს თუ გაიხსენებთ?***

– მერაბ კოსტავას ეზოში ოთხშაბათს და ხუთშაბათს ვიკრიბებოდით ხოლმე. უამრავი მოქალაქე მოდიოდა განცხადებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, თავისი პრობლემებით. როგორც ადამიანის უფლებათა ჯგუფის ხელმძღვანელი ამ საკითხებზე ვმუშაობდი. ერთხელ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მთაწმინდის აღმასკომის თავმჯდომარე ზურაბ ბიბილეიშვილთან მივედით. დავინახე, ბატონი მერაბი დგას მისაღებში. მითხრა, ერთად შევიდეთო. ზურაბ ბიბილეიშვილმა კარგად მიგვიღო.

ალბათ გახსოვთ, 1989 წელს აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაცია რომ შეიქმნა და ბატონი მერაბი მათ გადაუდგა, დაპირისპირებულები შეაჩერა. ამ ფაქტის შემდეგ, შევხვდით ზურაბ ბიბილეიშვილს, რომელმაც მერაბ კოსტავას უთხრა, თქვენი მოსვლა, ბატონო მერაბ, დიდი პატივია, თქვენ ხართ გმირი, უდიდეს პატივს გცემთო. პიროვნულად უდიდეს პატივს სცემდნენ ბატონ მერაბს.

ზვიად გამსახურდია ძალიან გულთბილი ადამიანი და უდიდესი პატრიოტი იყო. ის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იყო დაბადებული. ზვიად გამსახურდიამ, როგორც პიროვნებამ, როგორც დისიდენტმა, როგორც პრეზიდენტმა ძალიან დიდი ბრძოლები გადაიტანა. 1992 წელს, მთელი საქართველო ფეხზე უნდა დამდგარიყო და ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არ უნდა დაეშვათ.

***– დღეს ზვიად გამსახურდიასადმი დამოკიდებულება თითქოს შეცვლილია, მაგრამ 9 აპრილი, არ არის აღიარებული დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ. დღემდე დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისი აღინიშნება.***

– 26 მაისი სიმბოლურად აღინიშნება.

***– ფაქტია, რომ ბოლოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს აღდგა.***

– ეს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. უბრალოდ, საოცარია, თურმე ახლა მიხვდნენ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობა გამოსაძიებელია. ცხადია, თუ ქვეყანასა და ერს თავმოყვარეობა აქვს, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა უნდა გამოიძიონ და დამნაშავე პირები დასაჯონ.

***– ამიტომაცაა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 28 წლის შემდეგ, რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ორი რეგიონი. იქ ქართველების უფლებები შელახულია.***

– დიახ, რუსეთი დღემდე ახორციელებს ოკუპაციას და მცოცავ ანექსიას. რუსეთმა განახორციელა ქართველთა ეთნიკური წმენდა, იტაცებენ და კლავენ ქართველებს, მოკლეს ოთხოზორია, ტატუნაშვილი, კვარაცხელია. ძალიან დიდი სიაა.

***– ალბათ, ჩვენი მხრიდან ბრძოლაც უნდა გაგრძელდეს ამ დარღვეული უფლებების აღსადგენად.***

– საქართველოს ხელისუფლებამ ამისთვის საერთაშორისო ტრიბუნა უნდა გამოიყენოს. არ უნდა იყოს ჩუმად. საქართველოს ინტერესი უნდა იყოს უპირველესი და არა – ბიზნესი. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან, ნატოსა და ევროკავშირთან მუშაობდნენ ამ საკითხებზე, მაგრამ მთავარია, შედეგი რა არის, მათ რა ბერკეტები აქვთ. რუსეთი კვლავ აგრძელებს ოკუპაციას. რა არის დეოკუპაციის იარაღი. ფაქტობრივად, დღეს საქართველო რუსეთთან საინფორმაციო თუ ჰიბრიდული ომის მდგომარეობაშია.

# პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნებაში“ ერთ დღეს ყველა ზვიადისტი და მეგრელი გახდა“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, შუალედური არჩევნებია წინ და პოლიტიკური პარტიებიც აქტიურ კამპანიაზე გადავიდნენ. გვესმის შეფასებები, რომ სერიოზული ბრძოლა მიდის სამეგრელოსთვისო. ზვიად გამსახურდიას საქმის გააქტიურებით, საზოგადოება მიხვდა, რომ ყველაფერი აქეთ იყო მიმართული. ასე მნიშვნელოვანია სამეგრელოს ხმები?***

– რა თქმა უნდა, ცალსახად მნიშვნელოვანია. თავის დროზე სააკაშვილმაც სამეგრელოდან დაიწყო მოძრაობა, რათა ხელისუფლებაში მოსულიყო. სამეგრელო არის ძალიან შეკრული, მონოლითური რეგიონი საქართველოსი, მრავალრიცხოვანი და, შესაბამისად, რა თქმა უნდა, სამეგრელოს წარმატება ნიშნავს მნიშვნელოვან წარმატებას დანარჩენ საქართველოში. წინასაარჩევნო კამპანიის იქიდან დაწყება აბსოლუტურად ლოგიკურია და ახსნადია თუ რატომ ხდება ასე. თუმცა ცუდია, ზვიად გამსახურდია ახლა რომ გაახსენდათ.

***– მანამდე არ ახსოვდათ?***

– სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, მისი შვილები შიმშილობდნენ პროკურატურაში და ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, ვიდრე მართლა კრიტიკულ სიტუაციამდე არ მიიყვანეს საქმე და პროკურატურაც იძულებული იყო, გაეთვალისწინებინა მათი მოსაზრება. ანუ მათ რომ არ ეშიმშილათ, იხურებოდა ზვიად გამსახურდიას საქმე. უცებ ახლა, წინასაარჩევნო კონტექსტში ასეთი სახეცვლილი დამოკიდებულება აქვთ გამსახურდიას მიმართ. მე მივესალმები ამ გააქტიურებას და სამარცხვინოა, რომ სახელმწიფომ დღემდე არ იცის, რა გარემოებებში დასრულდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე. თუმცა აშკარად ჩანდა, რომ ეს არ ადარდება საქართველოს ხელისუფლებას. მეშვიდე წელი გავიდა და ეს თემა არ ყოფილა აქტუალური. გამსახურდია კი არ ადარდებთ, ადარდებთ არჩევნებში წარმატება.

***– საზოგადოებაში ხუმრობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ყველა ერთ დღეში გახდა ზვიადისტი და მეგრელიო.***

– ასეა. ერთ დღეს გახდა ყველა ზვიადისტი და მეგრელი. გარკვეულწილად ყველაშია მეგრელი რაღაც დოზით, მეგრელობა არ არის პრობლემა, პრობლემაა ის, რომ ცდილობენ გამსახურდიას თემით, სამეგრელოს მოსახლეობის გული მოიგონ.

***– ეს ყველაფერი შუალედურ თუ 2020 წლის არჩევნებზეა გათვლილი?***

– გამოძიება, რა თქმა უნდა, 2020 წლის არჩევნებზეა გათვლილი, რადგან გამოძიებას ვერ დაასრულებენ 2-3 თვეში. ამით დაიწყეს. გამსახურდიას დაბადების დღე მოდიოდა, ამიტომ ვერ აცდებოდნენ ამას. ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი წერილიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ხელიდან არ გაუშვებენ მნიშვნელოვან თარიღებს, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია.

***– წერილი ახსენეთ და რამდენად სწორად აანალიზებს ივანიშვილი იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ჭირს?***

– აბსოლუტურად ვერ აანალიზებს, სრულიად შორს არის რეალობიდან და აქ საერთოდ არ არის ლაპარაკი პირად პასუხისმგებლობაზე, აქ არ არის საუბარი, რომ არსებული პრობლემები, რაც ხალხს აწუხებს, ეს არ არის ქართული ოცნებიდან წამოსული პრობლემები.

***– სხვაგან ეძებენ დამნაშავეს? „ეშმაკი ყოფსო“. ვინ არის ეშმაკი?***

– ეშმაკი ყოფს რას ნიშნავს? ვინ გაყო „ქართული ოცნება“? ვინ გაყო კოალიცია, როცა ეს იყო, ვინ გაუშვა ჯერ თავისუფალი დემოკრატები, მერე რესპუბლიკელები? ან ახლა რა ხდება შიგნით „ქართულ ოცნებაში“? ბესელია ყოფს თუ კობახიძე ყოფს ოცნებას?! სად არის ეს ეშმაკი დამალული და ვინ არის ეს ეშმაკი ბოლოს და ბოლოს? ამიტომ ძალიან სახიფათო ფრაზაა ეს.

***– რატომ არის სახიფათო?***

– იმიტომ, რომ ეს მათ შეუბრუნდებათ უკან, საერთოდ არარეალისტურია და საკმაოდ შორს არის რეალობიდან ის, რომ პასუხისმგებლობა სხვაგან არის. წარსული არ შევახსენოთო, ვის არ შევახსენოთ წარსული, მურუსიძეს? არ შევახსენო წარსული ბახტაძეს, რომელიც აფინანსებდა ნაციონალურ მოძრაობას 2012 წელს?! არ შევახსენო წარსული იმ ხალხს, ვინც მოდის ნაციონალური მოძრაობიდან? კი ბატონო, მაშინ ნუ ახსენებენ საზოგადოებას, რომ სისხლიანი იყო ის 9 წელი! მაშინ რატომ ახსენებენ ასე წარა-მარა ნაციონალურ მოძრაობას? იმიტომ, რომ ხელისუფლების დაკარგვა არ უნდათ! მაგათი მთავარი ამოცანაა ხელისუფლებაში ყოფნა და არა საქართველო!

***– ანუ „ოცნებას“ არ უნდა შევახსენოთ ცოდვები და მათ ნაციონალებს უნდა შეახსენონ?***

– მკაფიოდ იკვეთება ამ წერილში ეს მესიჯი, რომ არ შემახსენოთ მე ჩემი ცოდვები, მე კი შევახსენებ მათ თავის ცოდვებს, იმიტომ, რომ მე მინდა ხელისუფლებაში ყოფნა, ისინი კი ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდნენ. საზოგადოება კი ხედავს, რომ თვითონ აბრუნებენ.

***– ვის, ნაციონალებს?***

– დიახ, ნაციონალებს. არავის არ დაუბრუნებია ისინი, გარდა „ქართული ოცნებისა“. მათ გაწმინდეს თავისი რიგები, გაუშვეს ყველა, ვისაც განსხვავებული აზრი ჰქონდა და თუ ასე გაძლიერდა ამ პერიოდში ნაციონალური მოძრაობა, ეს მხოლოდ მათ სინდისზეა, მეტი არავისზე. რატომ ეძებენ სხვაგან ნაციონალური მოძრაობის დაბრუნების მიზეზებს?! მხოლოდ თვითონ არიან ავტორნი ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებისა. საზოგადოება ხედავს და ხალხი ამბობს, მაინც ბრუნდება ნაციონალური მოძრაობა და მოდი, საერთო ენას ვიპოვი იმ ხალხთან, ვინც ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო, ვინც პოლიციელი იყო... ადამიანები ფიქრობენ, ჯობია, მე ერთი ფეხი ნაციონალურ მოძრაობაში მქონდეს დატოვებული და მეორე ფეხით მსუბუქად ვიყო „ქართულ ოცნებაში“. ფიქრობენ, რომ ისე მართავენ ესენი სიტუაციას, რომ შესაძლოა მართლა დაბრუნდეს ნაცმოძრაობა და მერე რა მეშველება?!

***– ანუ არის საზოგადოებაში ეს განცდა?***

– რა თქმა უნდა, არის. ხალხი ეუბნება „ოცნებას“, შენ გინდა, რომ კარგად იყო და მე მუდმივად გავიჭყლიტო შენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის, რატომ, თუ ასეა, მე დავაბრუნებ. საზოგადოება თვითონ ხედავს, როგორ უჭირს „ქართულ ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობის გარეშე.

***– ანუ მყარი პოზიციები აქვს ნაციონალურ მოძრაობას?***

– ნაციონალურ მოძრაობას კი არა აქვს მყარი პოზიციები, „ქართულ ოცნებას“ აქვს სუსტი პოზიციები და ამით ძლიერდებიან ისინი. ნაციონალური მოძრაობა საერთოდ არაფერი არაა, ძლიერი რომ ყოფილიყო „ქართული ოცნება“.

***– ურთულესი პრობლემებია ქვეყანაში ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, ამდენი რეგულაციები, ამდენი გაჭირვებული ადამიანი, რისი იმედი აქვს „ოცნებას“ 2020-ისთვის?***

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა ხელისუფლებას იმედები შესძინა, რომ შეიძლება გაყალბებებით და ადმინისტრაციული რესურსებით წარმატებას მიაღწევ. პირველი ტური ჩატარდა პატიოსნად. ამ მთავრობაზე უნდა ითქვას, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, „ქართული ოცნება“ ყოველთვის პატიოსნად ატარებდა არჩევნებს. პრაქტიკულად არ იყო გაყალბების სისტემური ნიშნები, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ამ პატიოსანმა არჩევნებმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში აჩვენა საგანგაშო შედეგები. შეშფოთდნენ ძალიან, ფულიც გაისროლეს და ჩართეს ადმინისტრაციული რესურსები და გაყალბების რაღაც მექანიზმები მოსინჯეს. მე მგონი, ამის იმედი აქვთ. ფულს გაისვრიან, ვილაცებს მოისყიდიან, ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებენ. იმუშავებს უშიშროების ფაქტორები, კრიმინალები წამოყოფენ თავს და ხელისუფლებას აი ამის იმედი აქვს. მე კი დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ გამოუვათ.



***– ეს ხომ არ დაძაბავს სიტუაციას?***

– დღეს კი საუბრობენ პოლიტიკურ კრიზისზე, მაგრამ საქართველოში არ არის პოლიტიკური კრიზისი, კრიზისი არის შიგნით პარტიაში, რაც შემდეგ აუცილებლად გადავა საქართველოზე. საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარდება, ვნახავთ, რომ მათ არ ექნებათ იმ რაოდენობის უმრავლესობა, რომ მართონ ქვეყანა, დაამტკიცონ ბიუჯეტი, მთავრობა და ა.შ. ამ ფონზე იქ შეიძლება დაიწყოს სერიოზული პოლიტიკური კრიზისი, თუ არ შერიგდნენ იმ 9 წლიან სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებთან. იმდენად უნდათ ამათ ხელისუფლებაში ყოფნა, რომ ჩვენ ვნახავთ, როგორ სიამტკბილობით იქნებიან ისინი პარლამენტში 9 წლიანი რეჟიმის წარმომადგენლებთან

***– ანუ თქვენ ასე ხედავთ, რომ კოალიცია შეიქმნება „ქართული ოცნების“ და ნაციონალების?***

– ეს მოხდება შიგნით, პარლამენტში. თუ არ შერიგდნენ, მაშინ კრიზისი შეიქნება და ხელახალი არჩევნები გახდება საჭირო, ხელახალ არჩევნებს კი მათ ურჩევნიათ, ვინც პარლამენტში მოხვდება, ხუთი წელი თბილად ისხდნენ თავიანთ წითელ და მწვანე ღილაკებთან.

# მიიღებენ თუ არა საქართველოს ნატოში კვიპროსის ანალოგიით?

## რუსეთს სამხრეთ კავკასიაში საქართველოსა და დასავლეთის ერთობლივი მოქმედებების ეშინია

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთში ცოტა ხნის წინ ატეხილი პანიკა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაჩქარებული გაწევრიანების შესახებ უფრო გავრცობილი გახდა. ახალი ალიაქოთი არ გამოუწვევია მხოლოდ ნატოს მოქმედი გენმდივნის იენს სტოლტენბერგის მორიგ განცხადებას საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებაზე.

კრემლი დააფიქრა სტოლტენბერგის წინამორბედის, ყოფილი გენმდივნის, ანდრეს ფონ რასმუსენის გამონათქვამმა. რასმუსენი დასაშვებად მიიჩნევს საქართველოში კვიპროსის მაგალითის გადმოღებას. 2004 წელს ორად გაყოფილი კვიპროსი დაუბრკოლებლად მიიღეს ევროკავშირში. საქართველოს შემთხვევაში საუბარია ნატოზე.

ამ დღეებში იენს სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინის მიღება ორგანიზაციაში მოსალოდნელია. ეს არ იქნება პროვოკაცია და ვინმეს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. მისივე თქმით, ამ ქვეყნებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ საკუთარი გზა.

კვიპროსის ანალოგიის გამეორებაზე თბილისში გამოთქმული პოზიციები აფხაზურმა მედიამაც გაავრცელა. ამას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რომლისთვისაც ეს ნიშნავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე უარის თქმას. მისი სიტყვებით, თუ კვიპროსის მაგალითზეა საუბარი, მაშინ საქართველოს ევროკავშირში შესვლა უნდა შესთავაზონ.

ოკუპირებული რეგიონი ამ საკითხში გაორებულია – მას თან თბილისისაგან დამოუკიდებლობა უნდა, თან ნატოს მოახლოება აშფოთებს.

ნატოს შესახებ ბოლოდროინდელ განცხადებებში კრემლმა ახალი ნიუანსები აღმოაჩინა, საქართველოს დაუმტკიცებელი პროვოკაციული ბრალდებები წაუყენა და მისი მეზობლებთან დაპირისპირება ცადა.



მოსკოველმა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ საქართველო და მისი დასავლელი პარტნიორები არ კმაყოფილდებიან ნატოში მისი მიღებით. თბილისს ეზრდება გეოპოლიტიკური ამბიციები. მას დაეკისრება დემოკრატიის ექსპორტიორის როლი სამხრეთ კავკასიაში. იმის გამო, რომ სომხეთს უკვე ჰყავს თავისი „დემოკრატი“, ანუ პრემიერი ფაშინიანი, საქართველოსა და დასავლეთის პოტენციალი აზერბაიჯანის გადემოკრატიულებაზე იქნება მიმართული. ეს კი, ფაქტობრივად, ილჰამ ალიევის დამხობის მზადებას ნიშნავს.

ეტყობა, კრემლი ცდილობს ურთიერთობების დაძაბვას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. რუსი ექსპერტების მტკიცებით, ბაქო თბილისს გაზითა და ნავთობით ამარაგებს. ამის სანაცვლოდ, საქართველო მეზობელს დემოკრატიას სთავაზობს მილსადენების პოტენციური ბლოკირების მუქარით.

მოსკოვი ყარაბაღის მტკივნეულ თემას ეხება და აცხადებს, რომ საქართველო დასავლეთთან ერთად დაინტერესებულია მთიანი ყარაბაღის ახლანდელი სტატუსის შენარჩუნებით, ანუ პრობლემის მოუგვარებლობით. ამან უნდა მოიტანოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ერთმანეთთან ურთიერთობების გაუარესება.

აზერბაიჯანს გარკვეული არც ისე მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ნატოსთან. რამდენიმე დღის წინ განცხადებები გაკეთდა ამ თემაზე, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა კრემლი.

კერძოდ, აშშ-ის ელჩმა აზერბაიჯანში ერლ ლიტცენბერგმა აზერბაიჯანს ნატოს მნიშვნელოვანი და საიმედო პარტნიორი უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ქვეყანა მონაწილეობს ავღანეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ასევე გლობალურ ტერორიზმთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამას მოჰყვა აზერბაიჯანელი პოლიტოლოგების გამოსვლები. ზაურ მამედოვმა თქვა, რომ ნატომ უკვე მოაღწია შავი ზღვის აუზს. დღის წესრიგში დგას საქართველოს წევრობა ამ ორგანიზაციაში. მისი სიტყვებით, ბლოკის ძირითადი მიზანია, მიაღწიოს ყველა სახელმწიფოს შესვლას ნატოში კასპიის ზღვამდე, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით.

რუსეთის ყურადღება ნატოს მოახლოების კუთხით მარტო სამხრეთ კავკასიისა და უკრაინისკენ არ არის მოპყრობილი. 8 აპრილს ლატვიაში დაიწყო ნატოს გაფართოებული წვრთნები. მასში მონაწილეობენ ის სამხედროები, რომლებიც მთელ ბალტიისპირეთში არიან დისლოცირებული.

# ვახტანგ მაისაია: „თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი საბრძოლო მომზადებას არ ხმარდება“

გულიკო ბალაძე




ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ შავი ზღვის აკვატორიაში ნატოსა და რუსეთის ძალების სამხედრო წვრთნებსა და თავდაცვის მინისტრ იზორიას პარლამენტში გამოსვლას აფასებს.

***– ბატონო ვახტანგ, შავი ზღვის აკვატორიაში ორი დაპირისპირებული ძალის წვრთნები მიმდინარეობს. ერთი ჩაატარა ნატომ, მეორე, მის პარალელურად რუსეთიც ატარებს წვრთნებს. ხომ არ არის მათ შორის რეალური დაპირისპირება?***

– სავსებით შესაძლებელია. ერთხელ უკვე იყო რეალური დაპირისპირება 1985 წელს, როცა საბჭოთა ხომალდებმა იერიში მიიტანეს ამერიკულ გემებზე.

***– გარკვეული პერიოდის წინ ისე ჩანდა, ისინი თავს არიდებდნენ პირდაპირ დაპირისპირებას, მაგრამ თანდათანობით ვითარება რთულდება. ნატოს შექმნის 70-წლისთავზე რუსეთის მისამართით ისეთი მწვავე განცხადებები გაკეთდა. რუსეთის მხრიდანაც საპასუხო მწვავე განცხადებები იყო. ასეთი მწვავე დაპირისპირება საერთაშორისო წესრიგის დარღვევას ხომ არ გამოიწვევს?***

**რატომ არის დედოვშჩინის ელემენტები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში? რატომ არ იქმნება ერთიანი თავდაცვის კოორდინაციის ცენტრი, რომელიც სამხედრო ოპერაციებს წარმართავს ერთიანი დაგეგმარებით?**

– არსებული მსოფლიო წესრიგი უკვე დარღვეულია. დღეს არის მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგი. ახალი ცივი ომი შეიძლება გადავიდეს სამხედრო დაპირისპირებაში. ახლახან გერმანულმა ტელეარხმა გადასცა ინფორმაცია მოდელირებული ქრონიკის ვარიანტში, რომ რუსები თურმე ესტონეთში შეიჭრნენ. საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა.

ლიბიაშიც დაიძაბა ვითარება. იქაც რუსეთის მხარდაჭერილმა ხავთარის ლიბიის ეროვნულმა არმიამ დაიწყო შეტევა საერთაშორისოდ აღიარებულ სარჯის მთავრობაზე, ანუ ლიბიაშიც სამოქალაქო ომი დაიწყო რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებიდან გამომდინარე.

***– თუმცა გაეროს მოწოდება მოვისმინე, დაპირისპირების შეწყვეტის თაობაზე.***

– გაეროს მოწოდება გასაგებია. ამ შემთხვევაში გაეროს მოწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქ მთავარია გარკვეული ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები.

რუსეთს ლიბიაში აქვს თავისი პლაცდარმი. ხავთარის დაჯგუფებას მხარს უჭერს ეგვიპტე და რუსეთის ფედერაცია. ცოტა ხნის წინ, ხავთარი რუსეთშიც იყო ჩასული. მან მიიღო შეიარაღება უშუალოდ შოიგუსაგან. დაპირისპირებაში ასევე მონაწილეობენ რუსული კერძო სამხედრო კომპანიის წარმომადგენლები. ამდენად, საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა.

ვენესუელაში არსებულ დაპირისპირებაში ჩინეთი ჩაერია. ჩინეთმა და რუსეთმა ორი სამხედრო თვითმფრინავი ჩაიყვანეს. ჩაიტანეს სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. მართალია ითქვა, რომ ჩაიტანეს ჰუმანიტარული დახმარება, მაგრამ რუსი სამხედროები ჩაფრინდნენ კარაკასში. მათ იქ ჩაიტანეს დიდი რაოდენობით სამხედრო ამუნიცია. ამის პარალელურად ჩაიტანეს ჰუმანიტარული დახმარება მადუროს რეჟიმის დასახმარებლად. წარმოიდგინეთ, ორი ქვეყნის – ამერიკისა და რუსეთის ოპერაციები განხორციელდა ვენესუელის მიმართულებით. ლიბიაშიც იძაბება სიტუაცია და ეს ღებულობს საშიში გამოვლინების სახეს.

***– ნატოს საზღვაო ძალების წვრთნები შავი ზღვის აკვატორიაში საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ჩატარდა, რომელსაც რუსეთი უპირისპირდება. ეს საქართველოსთვის რას ნიშნავს?***

– საქართველოსთვის ნატოსა და რუსეთის ძალებს შორის დაპირისპირება კარგის მომტანი არ არის, რადგან საქართველო, ფაქტობრივად, დაუცველია. რუსეთი, პუტინის რეჟიმის პირობებში რას გადაწყვეტს და რას გააკეთებს, არავინ იცის. რუსეთი ლიბიაში წავიდა, ვენესუელაში ამერიკასთან კონფრონტაციაშია და საქართველოს წინააღმდეგ არ წავა?

***– ნატო არ იღებს პასუხისმგებლობას საქართველოს დაცვაზე, როდესაც მის ტერიტორიულ წყლებში შემოდის და წვრთნებს ატარებს?***

– ნატოს ამის უფლება არ გააჩნია. ნატოს წესდების მე-5 მუხლი საქართველოს არ ეხება. ამიტომ ნატოს კოლექტიური თავდაცვის პრინციპი საქართველოზე არ მოქმედებს, რადგან საქართველო ნატოს წევრი არ არის. ნატომ შეიძლება გააკეთოს რაიმე სხვა სამხედრო ზემოქმედება. თუმცა, როგორც ჩანს, პუტინის რუსეთი ყველაფერზეა წამსვლელი. პუტინის რეჟიმი უფრო საშიშია, ვიდრე საბჭოთა ავტორიტარული რეჟიმი იყო, მათ ნაციონალური შეგნება მაინც ჰქონდათ. პუტინს ესეც არ გააჩნია. ამიტომ ვითარების ყველანაირი გამწვავებაა მოსალოდნელი. სიტუაცია ღებულობს საშიში გამოვლენის სახეს.

პუტინი საქართველოს რომ დაესხა, საქართველოს ოკუპაცია მოახდინა და მთელ ქვეყანაში სამხედრო ინტერვენცია მოაწყო, ამას ბრეჟნევი და ანდროპოვიც კი არ გააკეთებდნენ.

***– ბრეჟნევისა და ანდროპოვის დროს საქართველო მთლიანად ოკუპირებული ჰქონდათ და რაღაში სჭირდებოდათ ინტერვენცია.***

– გასაგებია, უბრალოდ, უტრირებას ვაკეთებ. თუმცა, ბრეჟნევმა ჯარი ავღანეთში შეიყვანა. პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი. სამი ადამიანი მოწამლა, ქიმიური რეაგენტებით ამერიკას მიაყენა დარტყმა – ამერიკაზე კიბერჰიბრიდული შეტევა განახორციელა; პუტინმა საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო შეტევა განახორციელა. უკრაინას ყირიმი წაართვა. ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.

***– თუ ნატო საქართველოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს რუსეთიდან მომავალ საფრთხის გამო, მაშინ ჩვენ რატომ უნდა მივცეთ თანხმობა ჩვენს ტერიტორიულ წყლებში შემოვიდნენ, მით უმეტეს, თუ ამით შეიძლება აქ დაპირისპირების პროვოცირება მოხდეს?***

– ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ჩვენ ჩვენი სამხედრო ძალები ჩვენ თვითონ გავანადგურეთ. სააკაშვილმა ჩაიდინა სამშობლოს ღალატი, როდესაც საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები გააუქმა. დღესაც არაფერი კეთდება ამ მიმართულებით. ის არმია, რომელსაც ახლა ჩვენ ვქმნით, საბრძოლოა არმია არ არის. ამიტომ იზორია პარლამენტის ტრიბუნიდან ზღაპრებს რომ ყვებოდა, არაფერს ნიშნავს. ახლა ახალი ტიპის ომებია. ჩვენ ახალი ტიპის ომებისთვის მზად არ ვართ, 50 წლით ვართ ჩამორჩენილი.

ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ შეიარაღებული ძალები სრულიად არაკომპეტენტური კადრებითაა დაკომპლექტებული. ჩვენი ქვეყანა არ არის მზად თანამედროვე ბრძოლების საწარმოებლად. რეალობა ასეთია. არ მინდოდა ასეთი განცხადების გაკეთება, მაგრამ დღითიდღე იზრდება რეალური კონფრონტაციის საშიშროება. ჩვენ კიდევ ვსხედვართ და სისულელეებით ვართ დაკავებული.

***– რეალური კონფრონტაციის საშიშროება ნატოსა და რუსეთს შორის თუ საქართველოს წინააღმდეგ?***

– საერთოდ, რუსეთი თავხედობს და აგრესიულ ქმედებებს კიდევ განახორციელებს. ამიტომ ჩვენ ნატოს იმედზე ვართ. ნატოს ხომალდების შემოსვლა ჩვენს ტერიტორიულ წყლებში, ჩვენი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.

***– თქვენ თქვით, ნატოს წესდების მე-5 მუხლი საქართველოზე არ მოქმედებსო. შავი ზღვის აკვატორიაში შექმნილი ვითარება საქართველოს ნატოში მიღებას ხომ არ დააჩქარებს?***

– ვერ გეტყვით.

***– ხომ არ იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების საჭიროება შეიქმნება?***

– ყველაფერი შესაძლებელია. სიტუაცია ნატოშიც არ არის მარტივი. ჩვენი მთავრობა არ მუშაობს ამერიკის ადმინისტრაციასთან, რომ ამერიკამ თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ნატოში ინტეგრაციის საქმეში. საგარეო პოლიტიკა არის გასააქტიურებელი.

***– იზორიამ მთელი თავდაცვის სისტემა დაახასიათა, ბევრი ისაუბრა წარმატებებსა და გეგმებზე. იზორიას გამოსვლას ზღაპრებად რატომ აფასებთ?***

– ზღაპრებია, რადგან იზორიამ არ ილაპარაკა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს როგორი ტიპის სამხედრო კონფლიქტში მოუწევთ მონაწილეობა, როგორ არის თავდაცვის გეგმა გაკეთებული? როგორია რესურსი? რატომ არ არის მიღებული თავდაცვის სისტემის ახალი ეროვნული სამხედრო დოქტრინა და სტრატეგია? საერთოდ, არის თუ არა შემუშავებული ეროვნული თავდაცვის ახალი ეროვნული სტრატეგია და დოქტრინა? რატომ არ აღდგა სამხედრო საჰაერო და სამხედრო საზღვაო ძალები და რატომ ვართ სხვა ქვეყნების იმედზე? ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. სამხედრო-საჰაერო სისტემა როგორია, რამდენად დაცულია თბილისი, არა მარტო საჰაერო, არამედ სარაკეტო დარტყმების მიყენებისაგან? სტრატეგიული საომარი მოქმედებების დოქტრინა რატომ არ არის მოდერნიზებული და მიახლოებული დღევანდელი, მეოთხე თაობის საომარი მოქმედებების დოქტრინებთან? საქართველოს შეიარაღებული ძალები რატომ არ ატარებენ სამხედრო სწავლებებს და მანევრებს. ნატოს წვრთნებში მონაწილეობა კარგია, მაგრამ ჩვენს სამხედრო წვრთნებს და მანევრებს უნდა ვატარებდეთ და ჩვენი შეიარაღებული ძალები უნდა იყვნენ მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში.

***– იზორიამ თქვა, სამხედრო წვრთნები ტარდებაო.***

– სამხედრო წვრთნები ნატოს ეგიდით ტარდება. ეროვნული წვრთნები არ ტარდება. რატომ არის დედოვშჩინის ელემენტები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში? რატომ არ იქმნება ერთიანი თავდაცვის კოორდინაციის ცენტრი, რომელიც სამხედრო ოპერაციებს წარმართავს ერთიანი დაგეგმარებით? რა ცვლილებები განხორციელდა, როდესაც მოხდა თავდაცვის ძალების მეთაურის სტატუსის შემოტანა? როგორ მოხდა კომპეტენციის გაყოფა ეროვნული თავდაცვის ძალების მეთაურსა და გენერალურ შტაბს შორის. ამ საკითხებზე საერთოდ არ ისაუბრა და ამ კითხვებზე პასუხის გარეშე იზორიას ზღაპრების მოსმენა ფუჭად დროის კარგვაა.

***– ამ საკითხებზე ღიად უნდა ესაუბრა?***

– პარლამენტის სხდომა დაეხურათ და ამ საკითხებზე დეპუტატებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. კომპეტენცია და პროფესიონალიზმია საჭირო.

***– მთელი ამ სამხედრო მანქანის მომსახურე კადრებში პროფესიონალი არავინაა, რომ სწორედ ისე ჩამოაყალიბოს სისტემა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ?***

– მე დავსვი კითხვები. თუ კომპეტენტური კადრებია უპასუხონ. გენშტაბში მაღალი დონის პროფესიონალები არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, თავდაცვის სამინისტროში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, ყველაფერი თავდაცვის მინისტრზეა აგებული. თავდაცვის მინისტრმა შექმნა მისთვის კომფორტული სიტუაცია.

თავდაცვის მინისტრი ცდილობს მოახდინოს უზურპაცია მთელი ამ სიტუაციებისა. ასე არ შეიძლება. თავდაცვის მინისტრი არ არის დალაი ლამა. არაკომპეტენტური პიროვნებაა. ის, რასაც იტყვის, ის სრულდება. ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების მრჩევლებიც არის, მაგრამ სჯობს ჩვენი კომპეტენტური მრჩევლებიც გვყავდეს, რადგან ჩვენს მრჩევლებს უფრო სრული წარმოდგენა აქვთ ჩვენს ეროვნულ თავდაცვის სისტემაზე. უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ თავდაცვის სისტემაში არაფერი კეთდება?***

– რაღაც-რაღაცები კი კეთდება, მაგრამ რამდენად პასუხობს დღევანდელ გეოსტრატეგიულ გამოწვევებს, საკითხავი ეს არის. მე რაც იზორიასაგან მოვისმინე, დღევანდელი სამხედრო ბიუჯეტი აგებულია ლათინო-ამერიკულ მოდელზე.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, სამხედრო ბიუჯეტი ხმარდება სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ხელფასებს, პრემიებს. არ ხმარდება საბრძოლო მომზადებას, იარაღის შეძენას, სამხედრო ბაზების მოწყობას.

***– იზორიამ თქვა, ბიუჯეტი ისე დავგეგმეთ, ახლა ბევრ იარაღს შევისყიდითო.***

– როცა შეისყიდიან, მერე ვილაპარაკოთ. ჯერჯერობით, შესყიდვაზე მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს.

***– რა გვეშველება?***

– არ ვიცი. ისევ ჩვენი სტრატეგიული მეგობრების იმედად უნდა ვიყოთ.

***– როგორც ჩანს, ამდენ ფულს ტყუილად ვიხდით თავდაცვისთვის.***

– ჩვენ ვასრულებთ ჩვენს კონსტიტუციურ მოვალეობას. მე თვეში 600 ლარი მაინც მეხარჯება სახელმწიფო შენახვაზე. სამხედროებს უნდა მიეცეთ მეტი დამოუკიდებლობა, მეტი ავტონომიურობა. სამხედრო სისტემაში ჩეკისტების დრო უნდა დამთავრდეს. ოთხი მინისტრიდან სამი ჩეკისტი იყო – ალასანია, ჯანელიძე და იზორია. თინა ხიდაშელმა ამ სამ ჩეკისტ თავდაცვის მინისტრზე უფრო მეტი გააკეთა. ისიც არ იყო მაღალი დონის პროფესიონალი, მაგრამ მან უფრო მეტი წვლილი შეიტანა სამხედრო სფეროს განვითარებაში, ვიდრე ამ სამმა ჩეკისტმა მინისტრმა.

***– ჯარში გაწვევა რომ გააუქმა, ეს როგორი გადაწყვეტილება იყო?***

– ბუნებრივია, გააუქმებდა, რადგან ის ადამიანები იქ არაფერს აკეთებდნენ. არ ვიცით, როგორ ჯარს ვაშენებთ. მობილიზაციის გეგმა არ არსებობს, სამხედრო დაგეგმარება არ ხდება. ხიდაშელმა სამხედრო თავდაცვის კონცეფცია მაინც დადო. ცუდია თუ კარგი, დადო. შემდგომმა მინისტრებმა ესეც არ გააკეთეს.

# ხელვაჩაურის სამარხში ნაპოვნ სასულიერო პირების ნეშტებს 21 აპრილს სამოქალაქო წესით დაკრძალავენ

ხელვაჩაურში აღმოჩენილ ნეშტებს 21 აპრილს, სამოქალაქო წესით დაკრძალავენ.

ამის შესახებ გუშინ, 8 აპრილს, გახდა ცნობილი.

როგორც სასულიერო პირები განმარტავენ, მიღწეულია შეთანხმება, რომ ნაპოვნ ძვლებს დნმ-ის ანალიზიც ჩაუტარდებათ.

ხელვაჩაურში სამარხში აღმოჩენილი ძვლები თითქმის 2 წლის განმავლობაში ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ტერიტორიაზე ინახებოდა. სწორედ ამას მოჰყვა მუსლიმთა თემის გაღიზიანება. ნეშტების ნაწილი მუსლიმ სასულიერო პირებს ეკუთვნის. ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დაღუპული სასულიერო პირების შთამომავლებისთვის დაუშვებელი იყო, რომ ძვლები მართლმადიდებლურ ტაძარში ინახებოდა.



– ამ სიებში, რომლებიც გამოქვეყნდა, არიან მოხსენიებული მუსლიმი სასულიერო პირები, ვინც არიან დახვრეტილები. მაშინ ავტორიტეტებად ითვლებოდნენ სოფლებში სასულიერო პირები და ზოგადად ისეთი ადამიანები დახვრიტეს, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენდა მათი აზრით სისტემისთვის და ესენი ძირითად იყვნენ ძირითად ამ შემთხვევაში მუსლიმი სასულიერო პირებიც.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს თემა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ გვქონდა შეხვედრები შთამომავლებთან, რომლებიც აცხადებენ პროტესტს, რომ მოხდეს ამ ძვლების იდენტიფიცირება. რა თქმა უნდა, აქ არ არიან მხოლოდ მუსლიმები. არიან სხვა სარწმუნოების ადამიანებიც, ამიტომ ძალიან სერიოზულად და ფრთხილად არის ეს საკითხი განსახილველი.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მიიღოს გადაწყვეტილება ამ ძვლების მიმართ, ჩაატაროს დნმ-ს ანალიზი და მოხდეს იდენტიფიცირება ამ საკითხთან დაკავშირებით, – განაცხადა ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარემ ტარიელ ნაკაიძემ.

2 წლის განმავლობაში მთავრობის გადაწყვეტილებას ელოდებოდა მართლმადიდებელი ეკლესია. ინფორმაცია კი საჯარო 2 დღის წინ გახდა, როდესაც მხარეები იმ ტერიტორიაზე შეთანხმდნენ, სადაც ნეშტები დაიკრძალება.

– ჩვენ გვინდოდა, რა თქმა უნდა, რომ მაშინვე დაგვეკრძალა და მაშინვე რომ ყოფილიყო ეს ყველაფერი გასაჯაროებული. უბრალოდ, მთავრობასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება ტერიტორიების გამოყოფასა და დნმ-ს ჩატარებაზე. ეს გაიწელა დროში. როგორც კი ნაწილობრივ თანხმობა მიღწეული იყო თუნდაც ის, რომ ტერიტორიის საკითხი უკვე გადაწყდა, სად უნდა დამარხულიყო, ჩვენ მაშინვე გამოვაქვეყნეთ ეს სიები. მაგრამ აქ არის 600 ადამიანი დახვრეტილი და ჯერ ჯერობით არის 150-მდე ადამიანის სხეული, რომელიც მოთავსებული არის პირველ სართულზე საკათედრო ტაძრის, რადგანაც სხვა ტერიტორია არ მოიძებნა სადაც მათი შენახვა შესაძლებელი იქნებოდა, – განაცხადა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის პრესსპიკერმა მამა იოანე გორელიშვილმა.

ხელვაჩაურში ნაპოვნი სამარხები 1937-38 წლებში რეპრესირებულ სასულიერო პირებს ეკუთვნით.

მათგან ნაწილი მუსლიმი, ხოლო ნაწილი მართლმადიდებელი სასულიერო პირები არიან.

# ადვოკატი ჩხეიძე: „ანა ბაგრატიონი ცდილობს, ყოფილ მეუღლეს 90.000 ლარი წაართვას“

დავით ბაგრატიონ-მუხრანელის ადვოკატი ლევან ჩხეიძე ამაზრზენს უწოდებს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატის განცხადებებს და მისი დაცვის ქვეშ მყოფის დავით ბაგრატიონის მხრიდან ძალადობის ფაქტს კიდევ ერთხელ გამორიცხავს.

ანა ბაგრატიონის ადვოკატმა ელისო რუხაძემ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტზე გამოძიება ტელეწამყვან შორენა ბეგაშვილსაც გამოკითხავს.

მისივე ინფორმაციით, გამოძიება სხვა ქალსაც გამოკითხავს, რომელიც ასევე დავით ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრობს.

— დავით ბაგრატიონი ითხოვდა გარკვეული უპირატესობის აღიარებას. ძალადობა იყო ხერხი, მიზანი კი ის, რომ ანას კონკრეტულ დოკუმენტზე მოეწერა ხელი. ძალადობა ხშირი იყო, პირველად 2009 წელს, როცა თვენახევრის დაქორწინებული იყვნენ.

ქალბატონი შორენა ბეგაშვილიც ამბობს, დავით ბაგრატიონი მცემდაო, ეს ყველამ მოისმინა ტელეეკრანიდან. გამოძიება გამოჰკითხავს ბეგაშვილსაც და კიდევ სხვა ქალს, რომელიც ამბობს, რომ დავით ბაგრატიონი მასაც სცემდა. შესაძლოა, დავით ბაგრატიონი არა მხოლოდ ანამ, სხვებმაც ამხილონ ძალადობაში.




ანა ბაგრატიონს სხეულზე 30-ზე მეტი დაზიანება ჰქონდა, უმოწყალოდ იყო ნაცემი. ჯერ მუშტებით სცემა და წაქცეულს ბოტასით შედგა და წიხლები ურტყა. ძალიან კარგად იცის ბატონმა დავითმა ეს და წასვლით თავის დაძვრენა სცადა, — განაცხადა ელისო რუხაძემ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კი ადვოკატმა ლევან ჩხეიძემ განაცხადა, რომ სამეფო ოჯახს შორის არსებული დავა ერთადერთ მიზანს ემსახურება — ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ცდილობს, მის ყოფილ მეუღლეს 90.000 ლარი სასამართლო დავის მეშვეობით წაართვას.

— მათი სამოქალაქო დავის მეორე ეპიზოდი ეხება თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონების გაყოფას. კერძოდ, ჩემმა მარწმუნებელმა 2014-2015 წლებში შეიძინა ორი ავტომობილი. შესაბამისად, ქალბატონი ანა აცხადებს, რომ ამ ავტომობილებზე, როგორც თანაცხოვრების დროს შეძენილ ქონებაზე, საკუთრების უფლება აქვს. ოფიციალურად, ანუ იურიდიულად კი ისინი 2016 წელს განქორწინდნენ.

რატომ მიდის დავა ამ 90.000 ლართან დაკავშირებით?! ქალბატონი ანა ეუბნება, რომ ეს ჩვენი თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონებაა, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს თანაცხოვრება უკვე შეწყვეტილი იყო. ყველანაირი დოკუმენტაცია არსებობს იმისა, რომ მათ 2013 წელს თანაცხოვრება შეწყვეტილი ჰქონდათ. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე კარგავს 90.000 ლარს. ამიტომ, მათ წამოწიეს ძალადობის ელემენტი, — განაცხადა ლევან ჩხეიძემ.

ამასთან, ლევან ჩხეიძის თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ადვოკატის განცხადება, რომლის თანახმად, სატელეფონო ანძით დასტურდება ის, რომ ძალადობის დღეს ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი საგურამოში იყო.

— დავით ბაგრატიონ-მუხრანელის სახელზე არსებული ტელეფონი ქალბატონი ანას სახელზეა გაფორმებული. საქართველოში დაბრუნების დღიდან ქალბატონმა ანამ 2 ნომერი შეიძინა. ერთი მისცა ჩემს მარწმუნებელს და ერთი თავისთვის დაიტოვა. შესაბამისად, თუ მოიძიებთ ბატონი დავითის ნომერს, რომლითაც ის სარგებლობდა, ნებისმიერი ანძა გეტყვით, რომ ქალბატონი ანა იმყოფებოდა საგურამოში.

ამაში არაფერია გასაკვირი. ჩემს მარწმუნებელს ველაპარაკე და რაიმე ფორმით ძალადობას ამ მოცემულ საქმეში კვლავ გამორიცხავს. ასევე კვლავ გამორიცხავს, რომ ქალბატონი ანა მის სახლში იმყოფებოდა, — განაცხადა ლევან ჩხეიძემ.

რაც შეეხება ანა ბაგრატიონ-გრუზინკის ადვოკატის განცხადებას, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელმა დედის ავადმყოფობა მოიმიზეზა, რითაც რეალურად გამოძიებას აარიდა თავი და ამის გამო წავიდა ესპანეთში, ადვოკატ ჩხეიძის თქმით, ესეც არ შეესაბამება სიმართლეს.

მისი განმარტებით, დავით ბაგრატიონ-მუხრანელის საქართველოში დაბრუნების საკითხი დედამისის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული.

გარდა ამისა, ადვოკატი პრესკონფერენციაზე გამოეხმაურა განცხადებას, რომლის თანახმად, დავით ბაგრატიონ-მუხრანელი მსახიობ შორენა ბეგაშვილზეც ძალადობდა. ადვოკატი ამ ინფორმაციასაც სიცრუეს უწოდებს და ამბობს, რომ შორენა ბეგაშვილი ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩანერგილი აგენტი იყო.

მისი თქმით, წინა ხელისუფლების ინტერესში არ შედიოდა კონსტიტუციური მონარქის აღდგენა, ხოლო იმის გამო, რომ დავით ბაგრატიონ-მუხრანელი „გაეშავებინათ“, აგენტად შორენა ბეგაშვილი მიუჩინეს.

## სუს-მა კახა ბასილია დააკავა
### მას 10.441 ლარის მითვისება ბრალდება




სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი — კახა ბ. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის 18-22 აპრილს საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრების წევრებისათვის თურქეთის რესპუბლიკაში ქალაქ სტამბოლში შოტოკანის მე-9 ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სათანადო დაფინანსება გამოიყო.

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 4 სპორტსმენმა, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბ-მ, 2018 წლის 27 აპრილს და 28 მაისს, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარადგინა ყალბი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ ჩემპიონატზე თითქოსდა საქართველოს ეროვნული ნაკრების 10 დელეგატი იყო მივლინებული. ხსენებული გზით და სამინისტროს მოტყუებით, კახა ბ. 6 მონაწილის გასამგზავრებლად გამოყოფილ, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კუთვნილ 10.441 ლარს დაეუფლა.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის კახა ბ-ს წარედგინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, — აცხადებენ უწყებაში.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

## პაპის მკვლელობაში ბრალდებულ ახალგაზრდა ქალს 16 წელი მიუსაჯეს




თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად, ანგარებით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში, ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია — ბრალდებულები გ.გ. და მ.კ. დამნაშავედ ცნო.

მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 9 აპრილს, საღამოს საათებში, ქ.თბილისში გ.გ. და მ.კ. ამ უკანასკნელის პაპის — ჯ.კ.-ს მოკვლისა და მისი თანხის დაუფლების მიზნით, მისსავე საცხოვრებელ სახლში მივიდნენ და ჯ.კ-ს დანებით სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს. ხოლო მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ ჯ.კ. გარდაიცვალა, კვალის დაფარვის მიზნით სახლში ხანძარი გააჩინეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა მ.კ. 2017 წლის 11 მაისს, ხოლო გ.გ. 2017 წლის 12 მაისს ქ.თბილისში დააკავეს. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.გ. და მ.კ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და 187-ე მუხლის მეორე ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, რაც ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქალაქო სასამართლოს განაჩენი და გ.გ. -ს და მ.კ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 16-16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## მალტაში საქართველოს მოქალაქე დაიჭრა




7 აპრილს მალტაში შეტაკების დროს დაიჭრა საქართველოს 1 მოქალაქე.

გარჩევა მალტას ქალაქ ბირზებუჯაში მოხდა. უცნობმა პირმა, რომელიც ტოიოტას მარკის ავტომობილით გადაადგილდებოდა, 3 მიგრანტ მუშას გაუხსნა ცეცხლი. ინციდენტის შედეგად, 1 პირი გარდაიცვალა, ხოლო 2 დაიჭრა. ერთ-ერთი მათგანი 45 წლის საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

პოლიციას ჯერ არ დაუკავებია დამნაშავე.

ასევე უცნობია ინციდენტის მოტივები.

## ხაშურში 30 წლის ქალი სარდაფში ჩამომხრჩვალი იპოვეს

ხაშურში 30 წლის ქალმა თავი მოიკლა. ოჯახის წევრებმა ის ჩამომხრჩვალი საკუთარი სახლის სარდაფში იპოვეს.



პრაიმტაიმს გარდაცვლილის ოჯახის ახლობელმა უამბო, რომ ახალგაზრდა ქალის მეუღლე ალკოჰოლზე დამოკიდებული იყო და სასმელის მიღებას ცოლსაც აიძულებდა. ნათესავის თქმით, ამის გამო ოჯახს პრობლემა არაერთხელ შექმნია.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილმა თვითმკვლელობა რამდენიმე თვის წინაც სცადა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## იტალიაში საქართველოს მოქალაქე ნიჩბით ხელში კაფე-ბარის სტუმრებს დაესხა თავს

იტალიაში, ქალაქ მოლფეტაში, საქართველოს მოქალაქე ნიჩბით ხელში კაფე-ბარის სტუმრებს დაესხა თავს.




იტალიური მედია თვითმხილველებზე დაყრდნობით წერს, რომ საქართველოს მოქალაქე ბარში წელს ზემოთ შიშველი შევიდა და განაცხადა, რომ გულის არეში ტკივილს გრძნობს. მოგვიანებით, მან ნიჩაბი აიღო და სტუმრებს დაესხა თავს.

კაფეს მეპატრონემ პოლიცია გამოიძახა, თუმცა თავდამსხმელი კარაბინერების მოსვლამდე გაიქცა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, მას სხეულზე ჭრილობები აღენიშნებოდა და, სავარაუდოდ, მხედველობის პრობლემები ჰქონდა, რის გამოც მანქანა დაეჯახა.

ამჟამად მამაკაცი პოლიციის განყოფილებაშია გადაყვანილი.

## გორის რაიონში 1 თვის ჩვილი გარდაიცვალა



გორის რაიონში 1 თვის ჩვილი გარდაიცვალა. შემთხვევა 8 აპრილს დილით მოხდა.

წინასწარი ინფორმაციით, ბავშვს მწვავე ვირუსული ინფექცია ჰქონდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით, სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## კახეთში ბიბლიოთეკა დაარბიეს

ვანდალიზმის ფაქტი მოხდა კახეთში — გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში დაუდგენელმა პირებმა ბიბლიოთეკა დააზიანეს.

განადგურებულია წიგნები, დამტვრეულია ტექნიკა და ინვენტარი. გურჯაანის მერის, ინფორმაციით, იყო ხანძრის გაჩენის მცდელობაც, თუმცა ცეცხლის ლოკალიზება საგანგებო სიტუაციების სამსახურმა დროულად მოახერხა.

ზარალის ოდენობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## 9 წლის გიორგი ბოლქვაძე საქანელადან გადმოვარდა და დაიღუპა



ლანჩხუთში, სოფელ ხაჯალიაში, 9 წლის ბიჭი საქანელადან გადმოვარდა და დაიღუპა.

მეზობლების ინფორმაციით, ბავშვი ძმასთან ერთად ეზოში თამაშობდა, როდესაც უბედურება მოხდა.

მომხდარს ბავშვების ბებია შეესწრო.

სკოლის დირექტორმა ხათუნა აფხაზავამ ფეისბუქში დაწერა:

„თავზარდამცემი ამბავი გავიგე ამ საღამოს. სიტყვები, ემოციები, ცრემლებიც კი უძლურია ამ ტრაგედიის გამოსახატავად. ...ტრაგიკულად გარდამეცვალა მე-4 კლასის მოსწავლე გიორგი ბოლქვაძე.

გაუფრთხილდით შვილებს, გაუფრთხილდით მოსწავლეებს, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს“.

# აშშ-მ „ისლამური რევოლუციის გუშაგი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა



ორგანიზაცია „ისლამური რევოლუციის გუშაგი“ ირანის თეოკრატიული სახელმწიფოს ხერხემლად ითვლება. თავის დროზე ისლამური რევოლუცია და ხელისუფლებაში აიათოლა ჰომეინის მოსვლა სწორედ მათი მეშვეობით მოხერხდა. დღეს აღნიშნული დაჯგუფება განსაზღვრავს ირანის საგარეო პოლიტიკას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთში აგრესიული ანტიამერიკული ქმედებებით აისახება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც „ისლამური რევოლუციის გუშაგი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკელთა ამ ნაბიჯის საპასუხოდ ღონისძიებას მიმართავს.

# საპროტესტო აქცია მინსკში



მინსკის ცენტრში საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი სტატკევიჩი იყო. აქციის დაწყებამდე პოლიციამ ის და მისი კიდევ 4 თანამებრძოლი დააკავა. მიუხედავად ამისა, აქცია მაინც ჩატარდა.

შეკრებილთ ჰქონდათ ბელორუსის ეროვნული დროშები, რომელთა საჯაროდ გამოყენება ხელისუფლებამ აკრძალა. ამისთვის ჯარიმა ან 3-5 წლამდე პატიმრობაა გათვალისწინებული. აქციის მონაწილენი კუროპატებში რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავებიდან ჯვრების მოხსნას აპროტესტებენ.

სტალინური ტერორის დროს კუროპატებში ათასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს.

ალექსანდრე ლუკაშენკომ თავის სატელევიზიო გამოსვლაში მინსკის აქციას პროვოკაცია უწოდა. მან რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავებიდან ჯვრების მოხსნაც გაამართლა.

– სტალინურ ტერორზე დაუსრულებელი ყაყანით და დროშების ფრიალით რუსეთი ღიზიანდება, – თქვა ლუკაშენკომ.

ალექსანდრ გრიგორიევიჩმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის დაშოშმინება აუცილებელია.

– რუსეთთან ურთიერთობაში კომპრომისია აუცილებელი! რუსეთი ჩვენზე ძლიერია, მას უზარმაზარი სამხედრო მანქანა გააჩნია და თუკი მას აამოქმედებს, ბელორუსისაგან არაფერი დარჩება, – ამბობს ლუკაშენკო.

ბელორუსის პრეზიდენტი მაქსიმალური დათმობისთვის მზადაა. ეს მან ღია ეთერში განაცხადა:

– ბალახოვიჩი რუსეთს აღიზიანებს? მაშასადამე ოფიციალურად ის გმირად არ უნდა გამოვაცხადოთ! ბელორუსული ენა და ბელორუსული ეკლესია არ სურთ? გამოსავალი აქაც მოიძებნება: სახელმწიფო ენად როგორც რუსული, ისე ბელორუსული გვექნება, ავტოკეფალიაზე კი უარს ვაცხადებთ!

ლუკაშენკომ ხაზი გაუსვა, რომ ამჟამინდელი ბელორუსი სამართალმემკვიდრეა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის. შესაბამისად, გეოპოლიტიკური არჩევანიც ნათელია: რუსეთი.

– ჩვენ რუსეთთან კავშირი გვინდა, მაგრამ როგორც სახელმწიფოს სახელმწიფოსთან, – თქვა ლუკაშენკომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლუქსემბურგის პრინცის ყოფილ მეუღლეს სახლი და უმნიშვნელო ალიმენტი ერგო



ლუი ქსავიე მარი გიომ ლუქსემბურგელისა და ტესის განქორწინების პროცესი დასრულდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ლონდონის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 34 წლის პრინცესას შეუძლია, ლონდონის ბინაში, რომელიც ოჯახს ჰქონდა დაქირავებული ქორწილის შემდეგ, მანამდე დარჩეს, სანამ მისი უმცროსი შვილი უმაღლეს განათლებას მიიღებს. გარდა ამისა, პრინცს ორივე შვილის შენახვისთვის თითოეულზე წელიწადში ოთხი ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს.

თავდაპირველად პრინცესა ტესი 1,5 მილიონ ფუნტ სტერლინგს მოითხოვდა თავისთვის და შვილებისთვის ახალი სახლი საყიდლად. პრინცი ლუი, თავის მხრივ, ბავშვების სარჩენად სამი ათას ფუნტ სტერლინგს სთავაზობდა.

ლუიმ ტესი ანტონი 2004 წელს გაიცნო, როდესაც ის 18 წლის იყო. გოგონა ჯარში მსახურობდა და კოსოვოს ლუქსემბურგის კონტინგენტში ირიცხებოდა. 2006 წელს ლუისა და ტესის შეეძინათ ბიჭი, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ იქორწინეს. ქორწილის შემდეგ პრინცს ლუქსემბურგის ტახტის მემკვიდრეობაზე უარის თქმა მოუხდა, რისი მიზეზიც მისი მეუღლის დაბალი წარმომავლობა გახდა. ტესიმ ლუქსემბურგის პრინცესას ტიტული მხოლოდ 2009 წელს მიიღო. 2017 წლის იანვარში წყვილმა განქორწინების განზრახვის თაობაზე განცხადება გააკეთა.

# რუსების ოჯახმა მილიონები ნაგავში გადაყარა



რუსეთის ქალაქ ტიუმენში მცხოვრებმა ოჯახმა რამდენიმე მილიონი რუბლი შემთხვევით ნაგავში გადაყარა.

ოჯახურმა წყვილმა დედის ბინა გაყიდა, ხოლო მასში აღებული ფული პაკეტში ჩადეს, შემდეგ კი ის შემთხვევით ნაგავში აერიათ და გადააგდეს.

ფული ნაგვის დამფასოებელ ქარხანაში მოხვდა. ოჯახი აღნიშნულ საწარმოში მივიდა და მის თანამშრომლებს საკუთარი პრობლემის თაობაზე უამბო. მათ პაკეტის საპოვნელად 12 ტონა ნარჩენების გადაქექვა მოუხდათ. ამის თაობაზე ჟურნალისტებს ქარხნის საამქროს უფროსმა ვიქტორ ზაგიდულინმა განუცხადა. საბოლოოდ ფული იპოვეს და პატრონებს დაუბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზელენსკი: „უცხოურ ინვესტიციებს დაცვა სჭირდება“



უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა ვლადიმერ ზელენსკიმ განაცხადა, რომ როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში მრავალი გავლენიანი ბიზნესმენია, რომელთაც უკრაინის ეკონომიკაში ფულის დაბანდება სურთ, მაგრამ ყოყმანობენ.

– სამწუხაროდ, ჩვენში სათანადო ბიზნესკლიმატი არ შექმნილა! ინვესტიციებს დაცვა და გარანტიები სჭირდება, – ამბობს ზელენსკი.

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი დონბასის ომსაც შეეხო. მან თქვა, რომ მინსკის პროცესი უნდა გაგრძელდეს და გაფართოვდეს, დონბასი კი, ისევე, როგორც ყირიმი, უკრაინას დაუბრუნდეს.

– უნდა ხმამაღლა ითქვას, რომ რუსეთთან ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით, შემდეგ დასავლეთის დახმარებით რუსებს უკან დავახევინოთ! ეს შესაძლებელია, – აცხადებს ზელენსკი.

ზელენსკიმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ქვეყნის ნატოში გაწევრიანების მომხრეა, თუმცა საამისოდ რეფერენდუმის ჩატარებაა აუცილებელი.

– ჩვენ ამ რეფერენდუმს მოვიგებთ, რადგანაც უკრაინელთა უმრავლესობა ნატოში გაწევრიანების მომხრეა, – თქვა ზელენსკიმ.

# ქალმა ფეხმძიმედ ყოფნის შესახებ მშობიარობის წინ გაიგო



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მცხოვრებმა ქალმა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მშობიარობამდე 45 წუთით ადრე გაიგო.

პირველი ბავშვის გაჩენის შემდეგ 18 წლის ემალუიზ ლეგეიტი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას იღებდა და მეორე ბავშვის გაჩენას არ გეგმავდა, თუმცა 2018 წლის 17 ივლისის დილას მას მუცელი გამოებერა, არადა, ჯერ კიდევ წინა საღამოს მსგავსი არაფერი შეუნიშნავს. მან სასწრაფო გამოიძახა და 45 წუთის შემდეგ გააჩინა სრულიად ჯანმრთელი ბავშვი, რომელსაც სახელად სიარა დაარქვა.

– მე ფეხმძიმობის ტესტი არ ჩამიტარებია, ვინაიდან არანაირი სიმპტომები არ მქონია. ექიმებმა ვერ ახსნეს, რატომ არ მეტყობოდა მუცელი, – აცხადებს ლეგეიტი, – ისინი მხოლოდ ვარაუდობენ, რომ ნაყოფი, შესაძლოა, ზურგით იყო. ასე ხშირად ხდება.

მეორე ბავშვის გაჩენის შემდეგ ლეგეიტმა საშვილოსნოში სპირალი ჩაიყენა და ახლა უკვე რეგულარულად იტარებს ფეხმძიმობის ტესტს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ძალოსნობის ევროპირველობა მცირე ოქროთი დავიწყეთ



ბათუმში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში, სადაც პირველი ქართული მედალიც გამოჩნდა. აჭარის მთავარქალაქის სპორტის სასახლეში ევროპირველობის პირველ დღეს საქმეში 2 ქართველი ჩაერთო. 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში რამინ შამილიშვილმა და შოთა მიშველიძემ იასპარეზეს.

შოთა მიშველიძემ (61 კგ), რომელიც ბათუმის ფიცარნაგზე ევროპის ჩემპიონის რანგში წარდგა, ტიტული ვერ შეინარჩუნა, მაგრამ აკვრაში გახდა საუკეთესო.

პირველ დისციპლინაში, ატაცში მიშველიძემ მე-4 ადგილი დაიკავა. ჩვენებურმა 125 კილოგრამი კი დაძლია, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა 129-კილოგრამიან შტანგას. პირველი ადგილი ბელარუსმა ჰენაძ ლაპცეუმ დაიკავა (133კგ), 2-3 ადგილებზე კი თურქი სპორტსმენები, ბუნიამირ სეზერი (132) და ფერდი ჰარდალი (127) გავიდნენ.

რამინ შამილიშვილი (124) კი მე-6 ადგილზე გავიდა.

მიშველიძეს ჩამორჩენა დიდი არ ჰქონდა, შეეძლო მედლისთვის ებრძოლა, მაგრამ მხოლოდ მცირე ოქროს დასჯერდა. არადა, აკვრაში ქართველმა სპორტსმენებმა შესანიშნავად იასპარეზეს.

მართალია, მიშველიძეს პირველი ცდა არ გამოუვიდა (147 კგ), სამაგიეროდ, მეორე და მესამე ცდაზე მაქსიმალურად მოინდომა და ჯერ 149, შემდეგ კი 156 კილოგრამი აწია, რაც საუკეთესო შედეგი იყო. შედეგად, მიშველიძე აკვრაში ევროპის ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ ორჭიდის ჯამში გასამარჯვებლად არ ეყო.

რაც შეეხება შამილიშვილს, ის 144, 149 და 152 კილოგრამს გაუმკლავდა. შედეგად ჩვენებურმა აკვრაშიც და ორჭიდის ჯამშიც მე-5 ადგილი დაიკავა.

საერთო ჩათვლაში ადგილები ისე განაწილდა, როგორც პირველი დისციპლინის შემდეგ დალაგდა – ლაპცეუ, სეზერი, ჰარდალი.

# მაისურაძემ გრან პრიზე პირველი ოქრო მოიპოვა




თურქულ ქალაქ ანტალიაში დასრულებულ გრან პრიზე 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რისი წყალობითაც ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს.

21 წლის ქართველი ძიუდოისტმა ლუკა მაისურაძემ (81 კგ.) ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენებურმა პირველ წრეში ჰოლანდიელი ჯიმ ჰეიმანს იპონზე დაგდებას მხოლოდ 31 წამი მოანდომა, შემდეგ კი, დამატებით დროში, ვაზარით მატიას კასე (ბელგია) დაამარცხა. მერვედფინალში უკრაინელ ბოჰდან ზუსკოს იპონით სძლია, მეოთხედფინალში ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორსა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელ ანტუან ვალუა-ფორტიეს (კანადა) ასევე იპონით აჯობა, ნახევარფინალში კი, ოლიმპიურსა და ევროპის ჩემპიონს და მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს მედალოსან ხასან ხალმურზაევს ვაზარით მოუგო. ლუკამ დამაჯერებლად აჯობა იტალიელ კრისტიან პარლატის გრან პრის გამარჯვებული გახდა.

აღსანიშნავია, რომ 21 წლის ძიუდოისტმა კარიერაში პირველად მოიგო გრან პრი.

გიორგი პაპუნაშვილმა (90კგ) ფინალი თურქეთის სახელით მოასპარეზე ექს-სლოვენიელ მიკაილ ოზერლერთან წააგო. მანამდე კი, ყირგიზ ფარუხ ბულეკულოვს, რუს ხუსენ ხალმურზაევს, სერბ ალექსანდარ კუკოლსა და ებრაელ იტაი გოლანს აჯობა.

ამავე წონაში ჭრიკიშვილმა იმავე ოზერლერთან ნახევარფინალში ჰანსუკო-მაკე დაიმსახურა, არადა, მანამდე კანადელ მაქსიმ კოტეს, ყირგიზ ერლან შეროვსა და ტაჯიკ კომრონშოხ უსტოპირიონს სძლია, რეპეშაჟში კი ხსენებული კუკოლი ვაზარიზე 2-ჯერ დასცა.

მძიმე წონაში ლევან მატიაშვილმა გზიდან საუდის არაბეთის წარმომადგენელი რაკან ზაიდანი, უკრაინელი იაკივ ხამო, ბრაზილიელი დავიდ მოურა და აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაური ჩამოიცილა, ფინალში კი, დამატებით დროში, ჰოლანდიელ როი მეიერთან ვაზარიზე დავარდა.

ბაგრატ ნინიაშვილი (66 კგ.) ბრინჯაოს მედალოსანი გახდა. კვარცხლბეკზე ასასვლელად ბაგრატი რუს აბდულა აბდულჟალილოვს გაეჯიბრა და დამატებით დროში მე-3 შიდო აჰკიდა.

მანამდე, ნინიაშვილმა გზიდან თურქი აბდულა ბერკინ ოზკანი (იპონით), ბრაზილიელი ჩარლეს ჩიბანა (ვაზარით) და პორტუგალიელი ჟოაო კრისოსტომო (იპონით) ჩამოიცილა, ნახევარფინალში კი, რუს მიხაილ პულიაევთან ვაზარით დაწინაურდა, თუმცა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და „გოლდენ სქორში“ მე-3 შიდოს გამო წააგო.

# ბითაძე ფინალშია, ბურჯანაძე ისევ საუკეთესოა




გოგა ბითაძე და მისი ბუდუჩნოსტი ადრიატიკის ფინალში არიან. ნახევარფინალური სერიის მე-3, გადამწყვეტ მატჩში პოდგორიცელებმა ზაგრებში ხორვატული ცედევიტა 78:73 დაამარცხეს და შარშან მოგებულ საჩემპიონო ტიტულს სერბულ ცრვენა ზვეზდასთან დაიცავენ.

პოდგორიცელებმა დიდი ბრძოლა გადაიტანეს და მასპინძლებს გამარჯვება ბოლო წამებზე გამოჰგლიჯეს. პირველი პერიოდი ცედევიტამ 21:10 მოიგო, მაგრამ მეორეში ბითაძის წინამღოლობით ბუდუჩნოსტმა 29:20 იმარჯვა და თამაშში დაბრუნდა. ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა. დასკვნით წუთზე პოდგორიცელებმა მეტი სიზუსტე და ორგანიზებულობა გამოავლინეს და გამარჯვებას მიაღწიეს.

ბითაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 21 წუთი გაატარა. გოგამ 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 10-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მის ანგარიშზე 13 ქულა, გუნდში უმეტესი 7 მოხსნა და 1 დაფარება დაგროვდა. ბითაძის სარგებლიანობის ინდექსმა 14 შეადგინა და ის ამ მაჩვენებლით გუნდში მხოლოდ ნემანია გორდიჩს (16) ჩამორჩა, რომელმაც 15 ქულა და 5 პასი მიითვალა.

ფინალური სერია 3 მოგებამდეა. მოედნის უპირატესობა ცრვენა ზვეზდას აქვს. ფინალური მატჩები 12, 14, 17 და თუ საჭირო გახდა, 19 და 22 აპრილს გაიმართება.

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება გაიფორმა. ვიტორიელები მურსიას ესტუმრნენ და 86:75 გაიმარჯვეს. ქართველი ლეგიონერი მოედანზე მხოლოდ 6 წუთი გამოჩნდა და ორქულიანი ააცილა, აქტივში კი 1 მოხსნა ჰქონდა.

ბასკონიამ 19 მოგება და 7 მარცხი მოაგროვა და ბარსელონასა და რეალის შემდეგ ცხრილში მესამე ადგილზეა. ვიტორიელები მომდევნო ტურში ანდორას უმასპინძლებენ.

ესპანეთშივე ერთმანეთს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრთა გუნდები შეხვდნენ. გიორგი შერმადინის უნიკახა და ნატურალიზებული ამერიკელის, თად მაკფადენის ხუვენტუდი. გამარჯვება შერმადინის გუნდს დარჩა – 88:63.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 23 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 1 ორქულიანი და 6-ვე საჯარიმო ჩააგდო.

მაკფადენმა მოედანზე 13 წუთი გაატარა და 3 ქულა და 1 პასი მოაგროვა. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა 2-დან 1 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა, 4 სამქულიანი ააცილა.

უნიკახა 16 მოგებითა და 10 მარცხით მე-4 ადგილს ინარჩუნებს, ხუვენტუტი კი 14 გამარჯვებითა და 12 წაგებით მეექვსეა.

ბექა ბურჯანაძემ მორიგი დიდებული მატჩი ჩაატარა. ბოლო ადგილზე მყოფ გიპუზკოას ქართველმა ფორვარდმა ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოაგებინა. გიპუზკოამ ესტუდიანტესს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში – 93:92 დაამარცხა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 34 წუთი გაატარა. ბურჯანაძემ საოცარი სიზუსტით სტყორცნა სამქულიანები: 7-დან 5; ორქულიანები: 7-დან 4; საჯარიმოები: 4-დან 3. 26 ქულასთან ერთად ბექამ 6 მოხსნა და 1 პასიც მიითვალა.

ბურჯანაძის გუნდს 7 მოგება, 19 წაგება აქვს და ჯერაც ბოლო ადგილზეა, თუმცა ძალიან ახლოსაა გასავარდნი ზონიდან ამოსვლასთან. ამ ზონაში მყოფ მურსიას ერთი მოგებით მეტი აქვს.

დუდა სანაძე პოლონეთის ჩემპიონატში შედეგიან თამაშს აგრძელებს. რადომის ქართველმა მსროლელმა დაბროვა გორნიცასთან მატჩში 20 ქულა მოაგროვა, თუმცა მისი გუნდი დამარცხებისგან ვერ იხსნა – 65:76.

დუდამ 11-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 10-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. 20 ქულასთან ერთად მან 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასიც მოაგროვა.

8 მოგებითა და 18 მარცხით რადომი 16-გუნდიან ლიგაში მე-11 ადგილზეა.

# ორივე დინამოს და ტორპედოს გამარჯვებები

**დინამო (თბ)-რუსთავი 3:1**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 შენგელია (29პ), 2:0 შულაია (33), 3:0 შენგელია (58), 3:1 იმნაძე (76)

**დინამო:** პერალესი, იაშვილი, მეჯუბი, მონხილი, ნოჩე, ივანისენია, ნინუა, შენგელია (როხანო 61), ზარია (კარბია 55), შულაია, კუტალია (აზაროვი 72)

**რუსთავი:** კულუა, გადრანი, ყიფიანი (კაპანაძე 69), ქოჩლაძე, ჩოგაძე, ნარიმანიძე (იმნაძე 46), გისტაროვი, ტაკულოვი, სილაგაძე, ფონიავა, ჯაფიაშვილი

დინამო ფავორიტად მიიჩნეოდა და შედეგიც ლოგიკური იყო. თუმცა, სხვაობა შესაძლოა, გაცილებით დიდი ყოფილიყო.

მატჩის პირველი წუთები სტუმართა მოჩვენებითი აქტიურობით დაიწყო და კარში პირველი დარტყმაც ლაშა ქოჩლაძემ შეასრულა. თუმცა, თბილისელებმა მალევე შეცვალეს თამაშის მიმდინარეობა და ორივე ფლანგიდან სახიფათოდ შეუტიეს მეტოქეს. აკაკი შულაია მარცხენა ფრთიდან ამწვავებდა თამაშს, საბოლოოდ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა. დინამოელებმა შეტევებს უმატეს და 29-ე წუთზე ლევან კუტალიას აქტიურობას პენალტი მოჰყვა. ლევან შენგელიამ 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა და ანგარიშიც გაიხსნა.

4 წუთში შულაიამ კარგად ითამაშა და საჯარიმოს გარედან ძლიერად გაისროლა – 2:0.

მალევე დმიტრო ივანისენიას შე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**7 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-არსენალი ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 33 | 25 | 7 | 1 | 75-20 | 82 |
| 2.სიტი | 32 | 26 | 2 | 4 | 83-21 | 80 |
| 3.ტოტენჰემი | 32 | 21 | 1 | 10 | 60-34 | 64 |
| 4.არსენალი | 32 | 19 | 6 | 7 | 65-40 | 63 |
| 5.ჩელსი | 32 | 19 | 6 | 7 | 55-34 | 63 |
| 6.მანჩესტერი | 32 | 18 | 7 | 7 | 61-43 | 61 |
| 7.ლესტერი | 33 | 14 | 5 | 14 | 46-44 | 47 |
| 8.ვულვზი | 32 | 13 | 8 | 11 | 40-39 | 47 |
| 9.ევერტონი | 33 | 13 | 7 | 13 | 46-42 | 46 |
| 10.უოტფორდი | 32 | 13 | 7 | 12 | 47-47 | 46 |
| 11.ვესტ ჰემი | 32 | 12 | 6 | 14 | 41-48 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 33 | 11 | 6 | 16 | 39-43 | 39 |
| 13.ბორნმუთი | 33 | 11 | 5 | 17 | 44-61 | 38 |
| 14.ბარნლი | 33 | 10 | 6 | 17 | 40-60 | 36 |
| 15.ნიუკასლი | 33 | 9 | 8 | 16 | 31-43 | 35 |
| 16.ბრაიტონი | 31 | 9 | 6 | 16 | 32-46 | 33 |
| 17.საუთჰემპტონი | 32 | 8 | 9 | 15 | 36-53 | 33 |
| 18.კარდიფი | 32 | 8 | 4 | 20 | 28-61 | 28 |
| 19.ფულემი | 33 | 4 | 5 | 24 | 30-76 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 33 | 3 | 5 | 25 | 19-63 | 14 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

უოტფორდი-ვულვზი ............. 3:2(დდ)

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ლეგანესი ......................... 1:1

ხეტაფე-ბილბაო ............................. 1:0

ვალიადოლიდი-სევილია ............... 0:2

ლევანტე-უესკა ............................... 2:2

სელტა-სოსიედადი ......................... 3:1

ბეტისი-ვილიარეალი ..................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 31 | 22 | 7 | 2 | 81-31 | 73 |
| 2.ატლეტიკო | 31 | 18 | 8 | 5 | 45-2 | 62 |
| 3.რეალი | 31 | 19 | 3 | 9 | 55-37 | 60 |
| 4.ხეტაფე | 31 | 13 | 11 | 7 | 38-27 | 50 |
| 5.სევილია | 31 | 14 | 7 | 10 | 51-37 | 49 |
| 6.ვალენსია | 31 | 10 | 16 | 5 | 33-26 | 46 |
| 7.ალავესი | 31 | 12 | 9 | 10 | 32-38 | 45 |
| 8.ბილბაო | 31 | 10 | 13 | 8 | 33-35 | 43 |
| 9.ბეტისი | 31 | 12 | 7 | 12 | 36-40 | 43 |
| 10.სოსიედადი | 31 | 10 | 10 | 11 | 37-38 | 40 |
| 11.ლეგანესი | 31 | 10 | 10 | 11 | 31-35 | 40 |
| 12.ეიბარი | 31 | 9 | 12 | 10 | 41-43 | 39 |
| 13.ესპანიოლი | 31 | 10 | 8 | 13 | 35-45 | 38 |
| 14.ხირონა | 31 | 8 | 10 | 13 | 33-43 | 34 |
| 15.ლევანტე | 31 | 8 | 9 | 14 | 44-56 | 33 |
| 16.სელტა | 31 | 8 | 8 | 15 | 45-53 | 32 |
| 17.ვილიარეალი | 31 | 6 | 12 | 13 | 39-45 | 30 |
| 18.ვალიადოლიდი | 31 | 7 | 9 | 15 | 24-43 | 30 |
| 19.რაიო | 31 | 7 | 6 | 18 | 34-54 | 27 |
| 20.უესკა | 31 | 5 | 9 | 17 | 35-55 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ალბასეტე ................... 0:1

ლუგო-ოსასუნა ............................... 2:2

ხიმნასტიკი-ნუმანსია ..................... 2:0

ელჩე-კორდობა ............................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ................. 0:4

გლადბახი-ვერდერი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 20 | 4 | 4 | 74-28 | 64 |
| 2.დორტმუნდი | 28 | 19 | 6 | 3 | 66-35 | 63 |
| 3.ლაიფციგი | 28 | 16 | 7 | 5 | 53-22 | 55 |
| 4.აინტრახტი | 28 | 15 | 7 | 6 | 56-31 | 52 |
| 5.გლადბახი | 28 | 14 | 6 | 8 | 47-35 | 48 |
| 6.ვოლფსბურგი | 28 | 13 | 6 | 9 | 47-42 | 45 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 28 | 11 | 11 | 6 | 58-39 | 44 |
| 8.ვერდერი | 28 | 11 | 10 | 7 | 50-40 | 43 |
| 9.ლევერკუზენი | 28 | 13 | 3 | 12 | 50-48 | 42 |
| 10.ფორტუნა | 28 | 11 | 4 | 13 | 38-52 | 37 |
| 11.ჰერტა | 28 | 9 | 8 | 11 | 41-46 | 35 |
| 12.მაინცი | 28 | 9 | 6 | 13 | 33-48 | 33 |
| 13.ფრაიბურგი | 28 | 7 | 11 | 10 | 38-48 | 32 |
| 14.შალკე | 28 | 7 | 5 | 16 | 29-46 | 26 |
| 15.აუგსბურგი | 28 | 6 | 7 | 15 | 37-54 | 25 |
| 16.შტუტგარტი | 28 | 5 | 6 | 17 | 27-60 | 21 |
| 17.ნიურნბერგი | 28 | 3 | 8 | 17 | 23-53 | 17 |
| 18.ჰანოვერი | 28 | 3 | 5 | 20 | 25-65 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-დარმშტადი ..................... 2:1

დინამო-უნიონი ............................. 0:0

ჰაიდენჰაიმი-კიოლნი ..................... 0:2

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ფროზინონე .............. 0:1

კალიარი-სპალი ............................. 2:1

უდინეზე-ემპოლი ........................... 3:2

ინტერი-ატალანტა .......................... 0:0

ლაციო-სასუოლო ........................... 2:2

ნაპოლი-ჯენოა ............................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 31 | 27 | 3 | 1 | 64-20 | 84 |
| 2.ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 58-27 | 64 |
| 3.ინტერი | 31 | 17 | 6 | 8 | 47-25 | 57 |
| 4.მილანი | 31 | 14 | 10 | 7 | 45-30 | 52 |
| 5.ატალანტა | 31 | 15 | 7 | 9 | 64-41 | 52 |
| 6.რომა | 31 | 13 | 9 | 9 | 56-45 | 51 |
| 7.ტორინო | 31 | 12 | 13 | 6 | 40-28 | 49 |
| 8.ლაციო | 30 | 14 | 7 | 9 | 44-32 | 49 |
| 9.სამპდორია | 31 | 13 | 6 | 12 | 51-41 | 45 |
| 10.ფიორენტინა | 31 | 8 | 15 | 8 | 46-39 | 39 |
| 11.სასუოლო | 31 | 8 | 12 | 11 | 46-51 | 36 |
| 12.ჯენოა | 31 | 8 | 10 | 13 | 35-49 | 34 |
| 13.პარმა | 31 | 9 | 7 | 15 | 33-50 | 34 |
| 14.კალიარი | 31 | 9 | 9 | 13 | 30-43 | 36 |
| 15.სპალი | 31 | 8 | 8 | 15 | 28-44 | 32 |
| 16.უდინეზე | 29 | 7 | 8 | 14 | 27-41 | 29 |
| 17.ემპოლი | 31 | 7 | 7 | 17 | 40-59 | 28 |
| 18.ბოლონია | 30 | 6 | 9 | 15 | 28-47 | 27 |
| 19.ფროზინონე | 31 | 5 | 8 | 18 | 25-56 | 23 |
| 20.კიევო | 30 | 1 | 11 | 18 | 21-61 | 11 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-პესკარა ............................ 2:1

კრემონეზე-ლეჩე ............................ 2:0

კოზენცა-კროტონე .......................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რეიმსი-ლილი ................................ 1:1

ტულუზა-ნანტი .............................. 1:0

ნიცა-მონპელიე .............................. 1:0

პსჟ-სტრასბური ............................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 26 | 3 | 1 | 89-18 | 81 |
| 2.ლილი | 31 | 18 | 7 | 6 | 49-27 | 61 |
| 3.ლიონი | 31 | 16 | 8 | 7 | 52-38 | 56 |
| 4.სტ.ეტიენი | 31 | 14 | 8 | 9 | 45-37 | 50 |
| 5.მარსელი | 31 | 14 | 6 | 11 | 47-42 | 48 |
| 6.რეიმსი | 30 | 11 | 14 | 5 | 32-28 | 47 |
| 7.ნიცა | 31 | 13 | 8 | 10 | 23-29 | 47 |
| 8.მონპელიე | 30 | 10 | 12 | 8 | 40-35 | 42 |
| 9.რენი | 30 | 11 | 9 | 10 | 42-40 | 42 |
| 10.სტრასბური | 30 | 9 | 13 | 8 | 47-37 | 40 |
| 11.ნიმი | 30 | 11 | 7 | 12 | 43-44 | 40 |
| 12.ანჟე | 31 | 8 | 14 | 9 | 38-38 | 38 |
| 13.ბორდო | 31 | 9 | 11 | 11 | 30-31 | 38 |
| 14.ტულუზა | 31 | 8 | 11 | 12 | 29-44 | 35 |
| 15.ნანტი | 30 | 8 | 7 | 15 | 33-39 | 31 |
| 16.მონაკო | 31 | 7 | 10 | 14 | 31-46 | 31 |
| 17.ამიენი | 31 | 8 | 7 | 16 | 26-45 | 31 |
| 18.დიჟონი | 31 | 6 | 6 | 19 | 24-48 | 24 |
| 19.კაენი | 31 | 4 | 11 | 16 | 24-46 | 23 |
| 20.გენგამი | 30 | 5 | 8 | 17 | 20-52 | 23 |

**ჰოლანდია. ეროვიზიონი**

ემენი-ჰერენვენი ............................. 2:0

ვენლო-ფეიენოორდი ...................... 0:3

ზვოლე-სიტარდი ............................ 5:0

ვიტესი-პსვ ..................................... 3:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-მარიტიმუ ..................... 1:0

ფეირენშე-ბენფიკა ......................... 1:4

სპორტინგი-რიუ ავე ....................... 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-როსტოვი ................................ 1:0

ურალი-ენისეი ................................ 3:2

რუბინი-არსენალი ........................... 0:0

ლოკომოტივი-ზენიტი .................... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუგანო ............................. 1:1

სიონი-ლუცერნი ............................. 2:2

იანგ ბოიზი-თუნი ........................... 5:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-რეინჯერსი ................ 0:3

ავსტრია. ......................... ბუნდესლიგა

აუსტრია-შტურმი .......................... 0:1

სტ.გალენი-ვოლფსბერგერი ........... 1:3

ლინცერი-ზალცბურგი ................... 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ანტვერპენი .............. 1:2

ეუპენი-შარლერუა ......................... 0:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-აეკი ................................... 1:3

ასტერასი-ლევადიაკოსი ............... 0:0

პანეთოლიკოსი-ოლიმპიაკოსი ....... 0:5

პაოკი-ლამია .................................. 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ერზრუმი ..................... 2:1

ანკარაგიუჯიუ-ფენერბახჩე .......... 1:1

გიოზთეფე-აკჰისარი ..................... 0:1

ბაშაქშეჰირი-ქონია ....................... 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-ტეპლიცე ........................... 3:1

ბოჰემიანსი ....... 1905-ბოლესლავი 0:0

სიგმა-კარვინა ............................... 3:2

ლიბერეცი-იაბლონეცი ................. 0:0

სლოვაცკო-პლზენი ....................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-არკა ................................. 3:3

გურნიკი-ლეგია ............................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-მიდტიულანდი .............. 2:2

ოდენსე-კოპენჰაგენი .................... 0:1

ჰობრო-ოლბორგი ......................... 1:1

ვეილე-სონდერიისკე ..................... 4:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდუ-ვალერენგა ........ 2:0

ლილესტრიომი-რანჰეიმი ............. 2:1

მიოლდე-სტაბეკი ......................... 3:0

ტრომსო-ვიკინგი .......................... 0:2

ჰაუგესუნდი-სარპსბორგი ............ 1:1

ბრანი-სტრომგოდსეტი ................. 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ელფსბორგი ............ 3:0

ესტერსტუნდი-ფალკენბერგი ....... 3:2

ჰამარბი-კალმარი ......................... 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

როვანიემი-ჰონკა ......................... 1:2

კუპ-ტამპერე ................................ 0:2

ლახტი-კუუპიო ............................. 3:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# უბერებელმა ავსტრალიელმა საკუთარი გარეგნობის საიდუმლო გაამხილა



ავსტრალიელმა დანიელა გრინტრიმ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს, რომ 46 წლის ასაკში 20 წლის გოგონასავით გამოიყურებოდეს.

გრინტრი უკვე სამი წელია, რაც თრეველ-ბლოგერია. ინსტაგრამში მის გვერდს 90 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს და ის მასში მასალებს თითქმის ყოველდღე აქვეყნებს. მისი თქმით, 18 წლიდან აქტიურადაა მოგზაურობით დაკავებული და ამ დროის მანძილზე 70-ზე მეტი ქვეყანა მოინახულა. ავსტრალიელმა ბლოგერად გახდომა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც მალდივიზე მეუღლესთან ერთად შვებულების დროს გადაღებულმა ფოტოსურათებმა ათეულ ათასობით მოწონება მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ხელმომწერებისა მოგზაურობის ფოტოსურათებისთვის გახდნენ ხელმომწერები, თავიანთ კომენტარებში ისინი არცთუ იშვიათად აღნიშნავენ ავსტრალიელის ბრწყინვალე ფიგურას და ქათინაურებსაც არ იშურებენ. ასევე ეკითხებიან, თუ როგორ მოახერხა ასეთი გარეგნობის შენარჩუნება. ბლოგერმა აღიარა, რომ ამას ხელი შეუწყო კარგმა გენებმა, თავგადასავლებმა მოგზაურობების დროს ცხოვრების ჯანსაღმა წესმა.

ავსტრალიელმა აღნიშნა, რომ ცდილობს, არ მოიხმაროს გადამუშავებული საკვები პროდუქტები და ხილს, ბოსტნეულსა და თევზეულს ანიჭებს უპირატესობას. ის მუდმივად ვარჯიშობს, თუმცა არასოდეს იყენებს ვარჯიშის დროს ტრენაჟორებსა და სხვა სავარჯიშო საშუალებებს. გრინტრის ვარჯის საყვარელი სახეობებია – ცურვა, იოგა და პილატესი.

# ერთგული ძაღლი დაღუპული პატრონის ცხედარს დარაჯობდა

მექსიკის ნუევო-ლეონის შტატის ქალაქ მონტემორელოსში დაღუპული მამაკაცის ცხედარს ძაღლი დარაჯობდა.

პოლიციის მონაცემებით, ვიქტორ რეინა ვასკესი ალკოჰოლურ სასმელს პირდაპირ რკინიგზაზე სვამდა, რა დროსაც მატარებლის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. უბედური შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმები მივიდნენ. 57 წლის მამაკაცის ცხედრის გვერდით შავი ფერის ძაღლი იმყოფებოდა.

შედგენილი ოქმის თანახმად, ცხოველი პატრონის დაცვას ცდილობდა და კინაღამ პოლიციელიც კი დაკბინა. ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ ვასკესი ბოლო წლებში ალკოჰოლიზმისგან იტანჯებოდა და რომ ძაღლი მუდმივად მის გვერდით იმყოფებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

„სამტრესტის“ ვეტერანი მეღვინეები უდიდესი სიამაყით აღვნიშნავთ სახელოვანი მეღვინის, წიგნიერი, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანის, ქართული სალხინო სუფრის პურ-ღვინის სანიმუშო თამადის



***გელა ქოქიაშვილის***

**დაბადებიდან**

**80 წლისთავს.**

ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას სამშობლოსა და ჩვენდა სასიკეთოდ.

ჩვენო გელა!

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს შენისთანა მამულიშვილები.

# ორივე დინამოს და ტორპედოს გამარჯვებები

დასაწყისი მე-9 გვერდზე



ეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმული გოგი კულუას ნადავლი გახდა. პირველი ტაიმის ბოლო აბდელ მეჯუბის სახიფათო დარტყმული ჯერ მცველმა მოიგერია და შემდეგ მეკარემ. ტაიმიც ესე დასრულდა.

მატჩის მეორე ნახევარი მასპინძელთა მასირებული შეტევებით განახლდა. 5-წუთიან მონაკვეთში გოლის გატანა შენგელიას, კუტალიასა და გიორგი ზარიას შეეძლოთ, მაგრამ უშედეგოდ. 50-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულს ძლიერი თავურით მეჯუბი ასრულებდა, მისი დარტყმული კულუამ ამჯერადაც მოიგერია.

საათის თავზე დინამომ ულამაზესი კომბინაციით მესამე გოლი გაიტანა. ნინუა-კარბია-შულაია-კუტალია-შენგელია და ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმა – 3:0.

76-ე წუთზე რუსთავმა მოახერხა ერთი გოლის გაქვითვა, ზუსტად ლუკა იმნაძემ დაარტყა. შეხვედრაში მეტი აღარაფერი შეცვლილა და დინამომ 3:1 იმარჯვა.

**დილა-ტორპედო 0:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1, 0:2 ლუკა (55, 88პ)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, მაჩაიძე, სანტოსი, ნონდი (პაიმი 67), ფორტესი, კუცია (გაგნიძე 71), ნონიკაშვილი, სპანდერაშვილი, გოშთელიანი

**ტორპედო:** კვასხვაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, კობახიძე, ცინცაძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე (დოლიძე 76), ქიმაძე, ლუკა (ჭიჭინაძე 90), თ.კაპანაძე (წიქარიძე 62), ზივზივაძე

**გაძევება: ფორტესი (52)**

პირველ ტაიმში თამაში მეტნაკლებად თანაბარი იყო, მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ გოლი არ გასულა.

შესვენების შემდეგ ტორპედოს უპირატესობა გამოიკვეთა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო ალვინ ფორტესმა და მასპინძლები კაცნაკლულნი დარჩნენ.

ტორპედომ რიცხობრივი უპირატესობა მალევე გარდასახა გოლად: მათე ცინცაძის საჯარიმოს ჩაწოდებული ბურთი მასპინძლებმა ხეირიანად ვერ ამოიტანეს და პირდაპირ რიჩარდ ლუკას მიუვიდა, რომელმაც ძლიერად გაისროლა და ძელიდან ასხლეტით გაიტანა.

მალევე მეორე გოლის გატანა ქავთარაძეს მართებდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი კარს. 78-ე წუთზე თავის გამოჩენა შეცვლაზე შესულ პაიმს შეეძლო, თუმცა მას გოლის გატანა კვასხვაძემ არ დაანება. საპასუხო იერიშისას ზივზივაძემ ბურთი ხარიხას გაარტყა.

88-ე წუთზე ლუკამ თერთმეტმეტრიანი მოინადირა, გოლი თავადვე გაიტანა და ტორპედომ გაიმარჯვა.

**სიონი-დინამო (ბთ) 2:4**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

1:0 ისიანი (13), 1:1 ფლამარიონი (20), 1:2 მანჯგალაძე (27), 2:2 უგულავა (58პ), 2:3, 2:4 ჭანტურია (77, 84)

სიონი: ზარქუა, უგრეხელიძე (თომაშვილი 77), ტვილდიანი, აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ხმალაძე, დ.კირკიტაძე, თარგამაძე, უგულავა (მაქაცარია 80), ისიანი (ლეჟავა 80)

**დინამო:** ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ნავალოვსკი, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (გაფრინდაშვილი 84), რამოსი, საბანაძე (ჭანტურია 74), ფლამარიონი (თევდორაძე 69)

ეროვნული ლიგის მეშვიდე ტურში ბათუმის დინამო ბოლნისის სიონს ესტუმრა და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 4:2 დაამარცხა.

ანგარიში მე-12 წუთზე ბოლნისელებმა გახსნეს. მარჯვენა ფლანგიდან კირკიტაძის ჩაწოდების შემდეგ, ვილი ისიანმა მეტოქის კარი აიღო. მეოცე წუთზე ბათუმელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ფლავინიომ საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი მიიღო და მშვენიერი დარტყმით 1:1 გახადა.

7 წუთში გეგუჩაძის შეგირდები სულაც წინ გავიდნენ: სიონის კართან სახიფათო ჯარიმა დაინიშნა, ბურთთან მანჯგალაძე მივიდა, რომელმაც სტანდარტული შესანიშნავად შეასრულა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

58-ე წუთზე კვლავ ბოლნისელების ჯერი დადგა – სტუმართა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, რომელიც ჯაბა უგულავამ ზუსტად შეასრულა და 2:2 გახდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშის ბედი შეცვლაზე შემოსულმა რომან ჭანტურიამ გადაწყვიტა. ჯერ იყო და 77-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები, 7 წუთში კი დუბლი გაიფორმა და ზღვისპირელებს მორიგი 3 ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 6 | 5 | 0 | 1 | 13-7 | 15 |
| 2.დინამო (თბ) | 7 | 4 | 1 | 2 | 14-8 | 13 |
| 3.ტორპედო | 7 | 4 | 1 | 2 | 9-7 | 13 |
| 4.დინამო (ბთ) | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| 5.ჩიხურა | 7 | 2 | 4 | 1 | 9-5 | 10 |
| 6.ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 8 |
| 7.სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-14 | 8 |
| 8.ლოკომოტივი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-13 | 6 |
| 9.დილა | 7 | 1 | 2 | 4 | 5-8 | 5 |
| 10.რუსთავი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-13 | 3 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ქალმა მეუღლის გამო წონაში დაიკლო

ბრიტანელმა ქალბატონმა როდესაც გაიგო, რომ ქმარზე 31,7 კილოგრამით მეტს იწონიდა, ერთ წელიწადში მოახერხა ზედმეტი კილოგრამების მოშორება.

ინგლისის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსის მცხოვრებ კელი როტერის ბავშვობიდან აწუხებდა ზედმეტი წონის პრობლემა.

– თანატოლები „ქონას“ ან „ზეფირს“ მეძახოდნენ. ამის გამო სკოლაში სიარული აღარ მინდოდა და საკუთარ თავში ჩავიკეტე. საკუთარი თავის აღარ მჯეროდა. დედას ვთხოვდი, რომ მას ჩემთვის წერილები დაეწერა, რომელიც ცურვაში ვარჯიშისგან განმათავისუფლებდა, – იხსენებს ბრიტანელი ქალბატონი.

დედას გოგონა ექიმებთან დაჰყავდა, თუმცა ანალიზებმა რაიმე გადახრა მის ორგანიზმში ვერ აღმოაჩინეს.

– ექიმმა მითხრა, რომ ეს ჩემ ასაკს უკავშირდებოდა და დროთა განმავლობაში გამივლიდა, – დაამატა 32 წლის როტერმა, – თუმცა წონაში მატება გრძელდებოდა.

ქალს საკუთარი გარეგნობის გამო რცხვენოდა და ხშირად სევდის ჩაკვლას არა ჯანსაღი საკვებით ცდილობდა.

– ეს ორი წლის წინ მოხდა. ჩარლიმ (კელის მეუღლე) აწონა შემომთავაზა, მაგრამ მისი თანდასწრებით სასწორზე დადგომის მეშინოდა. დაველოდე, როდესაც ის ოთახიდან გავიდოდა. ჩემთვის ძალიან სამწუხარო აღმოჩნდა, რომ მე მასზე ბევრად მეტს ვიწონიდი. მივხვდი, რომ გახდომის დრო იყო, – აღიარა კელი როტერმა.



ქალი 122 კილოგრამს იწონიდა. მან დახმარებისთვის დიეტოლოგებს მიმართა. მათ მისთვის გახდომის ინდივიდუალური პროგრამა შეიმუშავეს და ყოველდღე უგზავნიდნენ კონტეინერებს მისთვის საგანგებოდ მომზადებული საკვებით. ქალი დღეში ხუთჯერ ჭამდა და სულ 800 კალორიას მოიხმარდა.

როტერი დიეტას მკაცრად იცავდა და უკვე პირველივე კვირის შემდეგ წონაში 4,5 კილოგრამი დაიკლო. საბოლოოდ მან 44,5 კილოგრამი დაიკლო და კანის დაჭიმვის პროცედურაც გაიარა. მისი მტკიცებით, მას გახდომამ არა მხოლოდ სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა, არამედ საკუთარი თავი ხელახლა აპოვნინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 9 აპრილისთვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი 8



**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 3. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 4. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 8. ფულის ერთეული საქართველოში; 9. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 10. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 13. რაიმეს ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 15. ქართველ სუმოისტ გორგაძის საპატიო ტიტული.

**თარაზულად:** 1. ერაყის დედაქალაქი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. ლუდის სასმელი კათხა; 10. პატარა, მოკლებეწვიანი, დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 11. ორი ზღვის დამაკავშირებელი ვიწრო გასასვლელი; 13. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 16. დენის, ტემპერატურის სარეგულაციო, ავტომატურად ჩამრთავ-ამომრთველი ხელსაწყო; 17. კუთხე საქართველოში; 18. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. სექსტილიონი; 7. ნესტორი; 8. „ოლიმპია“; 9. პირატი; 13. „სილა“; 14. არხარი; 18. პენტაგონი; 19. პაუზა; 21. ბროლი; 22. ბინული; 23. ბირდაბირი; 24. პრინციპი.

**შვეულად:** 1. პელერინა; 2. ატლანტა; 3. გნომი; 4. ნექტარი; 5. ტოსტერი; 10. ფადიშაჰი; 11. კრიტერიუმი; 12. ტრუსტი; 15. სიამისენი; 16. ფრახტი; 17. ჰანტელი; 20. კრიჟი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. აგრესია; 2. „არგო“; 3. მარსი; 4. ირემი; 5. ერგი; 6. რიგა; 7. სქესი; 8. სექტორი; 9. ვალაბი; 10. ვენახი; 11. მისისიპი; 12. კიი; 13. გმირი; 14. ლიხი; 15. ეტა; 16. ლეგალური; 17. ირონია; 18. ისლი; 19. კანტატა; 20. როსტომ; 21. ელარჯი; 22. ნოტა; 23. ბატონი; 24. ტურა; 25. ალაპი; 26. უმი; 27. შაირი; 28. ალეკ; 29. პარაშუტი; 30. რუ; 31. მსაჯი; 32. მარკიზი; 33. კუ; 34. იზაურა; 35. სი.

**სურათებზე:** ემი უაინჰაუსი; ტონი კროოსი.

# მურმან ჯინორიას კოტე მახარაძის სახელობის ჯილდო მიანიჭეს



რუსთაველის თეატრის მსახიობს მურმან ჯინორიას მისი უფროსი კოლეგის კოტე მახარაძის სახელობის ჯილდო მიანიჭეს.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო მურმან ჯინორიას მიერ განხორციელებული სპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ კი მსახიობს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა კოტე მახარაძის სახელობის ჯილდო გადასცა.

# დათო არჩვაძემ და ხვიჩა მაღლაკელიძემ ოთარ რამიშვილის შემოქმედება გააცოცხლეს



მომღერალმა დათო არჩვაძემ და „ქუჩის მუსიკოსების“ გიტარისტმა ხვიჩა მაღლაკელიძემ კომპოზიტორ ოთარ რამიშვილის შემოქმედება გააცოცხლეს.

ხელოვანებმა სპეციალური საკონცერტო პროგრამა შექმნეს, რომელშიც ოთარ რამიშვილის სიმღერები სრულიად ახლებური არანჟირებით წარმოადგინეს.

დავით და ხვიჩამ კომპოზიტორის საუკეთესო სიმღერები შეარჩიეს და პროგრამის პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს უამრავი სიურპრიზი შესთავაზეს.

# მართლმადიდებლური დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კონკურსში ტაო-კლარჯეთზე გადაღებულმა ფილმმა გაიმარჯვა

მართლმადიდებლური ფილმების მე-13 საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ფილმმა „ტაო – შემაძრწუნებელი ბედნიერება“ და დაჯილდოვდა მედლით „წმინდა ანდრიას ჯვარი“.

ფილმის რეჟისორი, ოპერატორი, მონტაჟის ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი მარინა კოლხიდაშვილია, პროდიუსერი და სცენარის ავტორი კი დავით შემოქმედელი.

გამარჯვებული ფილმის ჩვენება 10 აპრილს კინოს სახლში გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორი რუსთაველის საზოგადოებაა და ფილმის ნახვის მსურველებს კინოსეანსზე დასწრება თავისუფლად შეეძლებათ.

# პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი გარდაიცვალა



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და პროფესორი დიმიტრი თუმანიშვილი გარდაიცვალა.

არაერთი თაობის აღმზრდელი ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია წარმოადგენდა, ავტორია მრავალი სტატიისა და რამდენიმე წიგნის, რომლებიც ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუნდამენტურ შრომებად დარჩება.

***ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ხელოვნებათმცოდნე:***

– ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელი, დიმიტრი თუმანიშვილი გარდაგვეცვალა. გამორჩეული მოღვაწე, თუ რამე კარგი მაბადია, მისი დამსახურებაა. მხოლოდ ჩემთვის არა, დიდი დანაკლისია ქვეყნისთვის. ჩემო ბატონო მიტო, მადლობა ყველაფრისათვის.

***ლელა ფირალიშვილი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი:***

– დიმიტრი თუმანიშვილი გარდაიცვალა... შეუცვლელი ადამიანებიც არსებობენ თურმე.

ირინე გივიაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის კვლევის ცენტრის წარმომადგენელი:

– რამდენიმე საათის წინ სულ შავი ჩავიცვი, თან მეხამუშა, ასე არასოდეს ვიცმევ და ნეტა რატომ-თქო... დიმიტრი თუმანიშვილი, კაცი, რომელმაც ჩვენს თანამედროვეობაში ცხოვრება მესვეტეს დარად უანგარო სამსახურში გალია.

***გიორგი სისაური, კალიგრაფისტი:***

– მწუხარება? ტკივილი? დანაკლისი? განა ეს სიტყვები შეესატყვისება იმ განცდას, რასაც ვგრძნობ? მადლიერება? სიყვარული? სითბო? – არც ესაა ის, რაც და-მიტო-ვეთ უებრო მოგონებებს შეჭირხლული. ყოველთვის მძაფრად ვგრძნობდი თქვენგან იმ განუზომელ სიყვარულს, რომელიც საკუთრივ ჩემ მიმართ გაკავშირებდათ. უსიტყვოდ ვესახებოდით ერთმანეთს. ორივე კარგად ვხვდებოდით, რომ ჩემგან არქიტექტურის მკვლევარი არაფრის დიდებით.

# სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკა დახმარებას ითხოვს



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკა დახმარებას ითხოვს.

ბიბლიოთეკის წარმომადგენლის რუსუდან ასათიანის ინფორმაციით, ბიბლიოთეკა ჯერჯერობით უცნობმა პირებმა დაარბიეს, რომლებიც ბიბლიოთეკაში ფანჯრიდან შეიჭრნენ, დაამტვრიეს კომპიუტერული ტექნიკა, თაროები, გაანადგურეს წიგნადი ფონდი:

– დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ველოდებით გამოძიების შედეგებს. თუმცა, სანამ პოლიცია მუშაობს, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაზე. სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკა ჩვენი პროგრამის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში განახლდა. აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ფონდი განვაახლეთ ახალი გამოცემებით. შენობა კი სოფლის პროგრამის ფარგლებში გარემონტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკის, საბიბლიოთეკო ასოციაციისა და მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ინიციატივით იქმნება საინიციატივო ჯგუფი, მცირედი დახმარებაც კი ძალიან მნიშვნელოვანია. გთხოვთ გამომეხმაუროთ, ვინც თვლით, რომ ამ ბიბლიოთეკის აღდგენა მნიშვნელოვანია. თუნდაც ერთი წიგნი და მცირედი თანხაც ძალიან მნიშვნელოვანია ახლა. მოგვაწოდოთ წიგნები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელის განყოფილებაში. თუ გაქვთ წიგნები და არ შეგიძლიათ მოტანა, დაგვირეკეთ და ჩვენ წავიღებთ. ბიბლიოთეკისთვის აუცილებლად გვჭირდება კომპიუტერული ტექნიკა, პერსონალური კომპიუტერი, მრავალფუნქციური პრინტერი. ნებისმიერი ტიპის მცირე წვლილი ახლა ძალიან მნიშვნელოვანია!

# მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე კინოფესტივალს უმასპინძლებს



11-15 აპრილს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“ ჩატარდება.

კინოფესტივალის პროგრამა, გარდა კინოჩვენებებისა, ითვალისწინებს დისკუსიებს, ცნობილ რეჟისორებსა და მსახიობებთან შეხვედრებს, ლექციებს, ვორკშოფებს.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ 13-22 წლის ახალგაზრდები 7 ქვეყნიდან: მაკედონიიდან, იტალიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, საქართველოდან. ფესტივალის მოდელი მორგებულია საუკეთესო უცხოურ გამოცდილებაზე, რაც კინოხელოვნების საშუალებით ახალგაზრდების კომუნიკაციის, კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების დონის განვითარებას, მასტერკლასების და ლექციების საშუალებით ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენას და მათ უცხოურ კინოფესტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობას გულისხმობს.

ახალი პროექტი „თაობის აკადემია“ განკუთვნილია რეჟისურით, სცენარის წერით, კინომხატვრობითა და პროდიუსინგით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, რათა შეხვდნენ, გაესაუბრონ და გაიზიარონ ცნობილი და წარმატებული ქართველი კინოპროფესიონალების გამოცდილება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## -კალეიდოსკოპი-

# ქალმა კოსმეტიკური სალონი სახის დამწვრობით დატოვა



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრები კოსმეტიკურ სალონს ლაზერული ეპილაციისთვის ეწვია და კანის დამწვრობა მიიღო.

ლილიან პოლმა თავისთვის ახალი პროცედურის გაკეთება, სახიდან თმების მოშორება ადგილობრივ კოსმეტიკურ სალონში სცადა. სეანსის შემდეგ მან „მტანჯველი ტკივილი“ გამოსცადა და დაუყოვნებლივ საავადმყოფოს მიმართა. ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სახის კანის მრავლობითი დამწვრობები ლაზერული ეპილაციის შედეგი იყო.

ექიმებმა პოლი გააფრთხილეს, რომ კანის აღდგენა ერთი თვიდან შესაძლოა რამდენიმე წლამდე გაგრძელდეს. ქალი იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა და ორი თვე სახლში მჯდარიყო, რათა თავი მზის სხივებისთვის აერიდებინა.

– ძალიან მტკივნეული იყო. კვირაში ორჯერ დამწვარ კანს ვიშორებდი. ახლა იმისთვის, რომ თავი მეტნაკლებად კომფორტულად ვიგრძნო, ტონალური საცხით ვსარგებლობ, – განაცხადა პოლმა.

კოსმეტიკურმა სალონმა ლილიან პოლს მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალის გამო კომპენსაცია გადაუხადა.

# განძის მაძიებელმა ძვირფასი ოქროს მონეტა იპოვა



ინგლისის კენტის საგრაფოში განძის მაძიებელმა იდეალურად შემონახული ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნის მონეტა იპოვა.

30 წლის მამაკაცმა ოქროს მონეტას მაშინ მიაგნო, როდესაც დუვრის მახლობლად ახლად მოხნულ მიწას ლითონის მაძიებლით იკვლევდა.

– თავდაპირველად მისმა ნამდვილობამ დამაეჭვა, ვინაიდან ის ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, – განაცხადა განძის მაძიებელმა. აწონის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მონეტა მართლაც ოქროსგან იყო დამზადებული.

ბრიტანეთის მუზეუმის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის რომის უზურპატორი იმპერატორის ალექტეს დროს იყო დამზადებული, რომელიც ბრიტანეთს 293–296 წლებში მართავდა. მონეტის ერთ მხარეს, აპოლონის წინ მუხლებზე მდგარი ორი ტყვეა გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს, იმპერატორის გამოსახულებაა. მონეტის წონა 24 კარატია.

ეს ბოლო 50 წლის განმავლობაში ალექტეს მმართველობის დროინდელი პირველი ნაპოვნი მონეტაა. დღემდე ერთადერთი მსგავსი, ასევე კარგად შემონახული მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში ინახებოდა. განძის მაძიებელი მონეტის აუქციონზე გაყიდვას გეგმავს. ექსპერტების აზრით, მისმა ფასმა შესაძლოა 100 ათას ფუნტ სტერლინგს გადააჭარბოს.

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ლიანა, სულიკო, თამაზი, რძლები ნონა, რუსუდანი, შვილიშვილები ნატო, ლევან, გიორგი, პავლიკა, ნანა, ნიკა, პავლე, დათა, სიძეები თამაზ სახიაშვილი, გიორგი აბაშიძე, რძლები მარიამი, მარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ელიკო პავლიაშვილი**

პანაშვიდი: 9. 10 აპრილს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 11 აპრილს, 14 საათზე, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში.

თემურ ჭელიძე ოჯახით იუწყება უკეთილშობილესი, საოცრად თბილი გულის ადამიანის, ყველას პატრონისა და მომფერებლის, ნათლიის

**ვენერა გოგბერაშვილის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 11 აპრილს, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სპილომ ბრაკონიერი მისი მეგობრების თვალწინ მოკლა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში სპილომ ბრაკონიერი გასრისა.

ბრაკონიერების ჯგუფმა ნაკრძალის ტერიტორიაზე სანადიროდ შეაღწია. ერთ-ერთი მათგანი მარტორქის დაჭერას ცდილობდა, როდესაც მას სპილო თავს დაესხა. ცხოველმა ის მისი მეგობრების თვალწინ გასრისა. მომხდარის თვითმხილველებმა დაუყოვნებლივ დატოვეს პარკის ტერიტორია და დაღუპულის ოჯახს დაუკავშირდნენ.

ინფორმაციის მიღების შემდეგ პარკის ზედამხედველები დაღუპულის მოსაძებნად გაემართნენ. მისი ნარჩენები მეორე დღეს ნიანგების ხიდის მახლობლად იპოვეს.

– ადგილზე მხოლოდ ადამიანის თავი და შარვლის ნაგლეჯები ვიპოვეთ. დიდი ალბათობით, მამაკაცი მშიერი ლომების პრაიდმა დაგლიჯა, – დაასკვნა პარკის რეინჯერმა დონ ინგლიშმა.

ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ბრაკონიერობის სამი მონაწილე პატიმრობაშია აყვანილი. მათი საქმის მოსმენა სასამართლოში გაიმართა. მათ წაყენებული აქვთ ნაკრძალის ტერიტორიაზე უკანონოდ შეღწევის, ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალებზე ლიცენზიის არ ქონის, ასევე არალეგალურად ნადირობის ბრალდება. საქმის განმეორებითი მოსმენა 12 აპრილს გაიმართება.

# ამერიკელებმა ნაკრძალში უზარმაზარი პითონი აღმოაჩინეს

აშშ-ის ბიგ-საიპრესის ეროვნულ ნაკრძალში ხუთმეტრიანი პითონი იპოვეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ნაკრძალის თანამშრომლებმა ფეისბუქში პარკის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნეს.

მკვლევარების ჯგუფმა უზარმაზარი მდედრი პითონი რადიოგადამცემის საშუალებით აღმოაჩინა, რომელიც მამრ პითონს ჰქონდა დამაგრებული. ქვეწარმავლის წონამ 63,5 კილოგრამი შეადგინა. მან 73 კვერცხი დადო. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ის ნაკრძალის ტერიტორიაზე ნანახ პითონებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა.

სპეციალისტებმა ქვეწარმავალი გამოკვლევაზე გადააგზავნეს, რათა საგულდაგულოდ შეისწავლონ მისი ქცევა. ისინი ცდილობენ პითონების დასაჭერად ახალი საშუალებები შეიმუშაონ, ვინაიდან ისინი დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ადგილობრივი ბუნებისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6903

ევრო — 3.0212

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5168

100 რუსული რუბლი — 4.1142

## ამინდის პროგნოზი 9 აპრილისთვის




## „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ სერიას „მე მიყვარს კითხვა“

### 9 აპრილიდან

ჯოზეფ რადიარდ კიპლინგი

**მაუგლის ამბები**




ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

### 12 აპრილიდან




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 3 მაისიდან




ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

### 29 მარტიდან




ოტია იოსელიანი

**ქალი გამოვიდა სალალატოდ**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## იუმორი

•••

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, რა ჰქვიათ იმ ადამიანებს, ხორცს რომ საერთოდ აღარ ჭამენ?

– პენსიონერები.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, ბიჭებმა ვიქეიფეთ, დავლიეთ და... მოკლედ, გიღალატე!

– ძვირფასო, მეც წვეულებაზე დავლიე და მეც გიღალატე!

– პირველი აპრილია!

– არა, მე მარტში...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ბავშვის დაბადების დღე როგორ აღნიშნეთ?

– როგორ და, გვთხოვა, რომ მისთვის დაბადების დღე კონკიას სტილში აღგვენიშნა. ჩვენც ასევე მოვიქეცით. თავად საქეიფოდ წავედით, გოგონა კი სახლის დასალაგებლად დავტოვეთ.

•••

ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– თქვენმა ანალიზებმა აჩვენა, რომ ნაღვლის ბუშტში კენჭები, შარდში ქვიშა, ხოლო ფილტვებში კირი გაქვთ.

– შესანიშნავია, ექიმო. როგორც იქნა, სახლში „რემონტს“ გავაკეთებ, „შპალერის“ ყიდვაღა დამჭირდება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა ქენი, სთხოვე ხელი შენ შეყვარებულს?

– ვთხოვე.

– მერე?

– ხელი რომ ვთხოვე, სკამიდან ჩამოვარდა, შემდეგ საწოლზე ხტუნაობდა, დაახლოებით თხუთმეტი წუთი სიხარულისგან წინ და უკან დარბოდა, შემდეგ კი მიპასუხა, რომ დაფიქრდება...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მოდი, ფაფა შეჭამე.

– რა ფაფა, წვნიანს არ ამზადებდი?

– მერე რა რომ ვამზადებდი...

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– რა ქენი, მთელი კონიაკი დალიე?

– აბა რა მექნა, თავსახური დავკარგე და...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კოუტინიო ბარსელონადან წასვლას არ აპირებს



ბარსელონას ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ ერთ-ერთ ინტერვიუში უარყო ის ფაქტი, რომ ის ბარსელონას დატოვებას აპირებს.

კოუტინიოს თქმით, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია მხოლოდ ჭორებია და სიმართლეს არ შეესაბამება:

– ჩემზე ბევრი რამ იწერება და მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. ბარსელონაში ბედნიერი ვარ, თუმცა მინდა, რომ უკეთესად ვთამაშობდე და ამისთვის ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები. იმედი მაქვს, ბარსელონაში კიდევ დიდხანს დავრჩები.

ბოლო პერიოდში ხშირი იყო საუბრები იმის შესახებ, რომ კოუტინიო ინგლისში აპირებდა დაბრუნებას.

## კრიშტიანო რონალდუ აიაქსთან თამაშს შეძლებს

იუვენტუსის პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ, სავარაუდოდ, შეძლებს აიაქსის წინააღმდეგ თამაშს ამსტერდამში.



რონალდუმ მარტის ბოლოს ტრავმა მიიღო პორტუგალიის ნაკრებში და იმის შემდეგ მოედანზე არ გამოსულა. იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ განაცხადა, რომ რონალდუ მზად არის სათამაშოდ და აიაქსთან თავის გუნდს დაეხმარება:

– კრიშტიანო მზად არის სათამაშოდ, უბრალოდ, მე ის დავასვენე მილანის წინააღმდეგ, რომ ტრავმა არ გართულებოდა. აიაქსთან შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს.

## ხოსეპ გვარდიოლა: „ჩემი ფეხბურთელები გმირები არიან“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი ფეხბურთელები გმირები არიან.

გვარდიოლას თქმით, როგორც უნდა დასრულდეს სეზონი, ის მაინც კმაყოფილი იქნება.

– მე ვუყურებ ჩემს ფეხბურთელებს და ვხედავ, რამხელა ენერგიას ხარჯავენ ისინი თითოეულ თამაშში. მე მათი თამაშით ვამაყობ და ისინი გმირები არიან. სეზონის ბოლოს არ ვიცი, მოვიგებთ თუ არა ყველა ტურნირს, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვიქნები, – განაცხადა გვარდიოლამ.

## ჩელსი აზარში 100 მილიონზე მეტს ითხოვს



ლონდონის ჩელსი მზად არის, ედენ აზარი გაყიდოს, მაგრამ ლონდონური კლუბი 100 მილიონ ევროზე მეტს ითხოვს ამ ტრანსფერში.

აზარის ყიდვა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს, რომელიც მზად არის, 85 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ ჩელსი უარზეა.

რეალი უკვე დიდი ხანია, დაინტერესებულია აზარის შეძენით და ზიდანმა ეს არც დამალა. თავის მხრივ აზარმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ მას ახალი გამოწვევა სჭირდება და ის ჩელსის დატოვებას არ გამორიცხავს.

## ერნესტო ვალვერდე: „ოლდ ტრაფორდზე უნდა მოვიგოთ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრის წინ განაცხადა, მის გუნდს მხოლოდ გამარჯვება დააკმაყოფილებს.

ვალვერდეს თქმით, მოვიდა დრო, რომ ბარსელონამ მანჩესტერში გაიმარჯვოს:

– ვიცი, რომ ჩვენ ოლდ ტრაფორდზე არასოდეს მოგვიპოვებია გამარჯვება, ამიტომ საჭიროა, ეს ტრადიცია დაირღვეს. მოედანზე მხოლოდ გამარჯვებისთვის გავალთ და სხვა მიზანი არ გვექნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი საფანტი; 2. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ჯიხვების ჯოგი; 6. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 8. ბუნებრივი ნაკრძალი; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 14. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 15. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად:** 1. წყალბადის იზოტოპი, მძიმე წყალი; 4. სამთო კურორტი საქართველოში; 7. კენიის დედაქალაქი; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. ცნობილი ამერიკელი პედიატრი; 12. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 16. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მიმართულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 21. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 22. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

